საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 24 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხოლო გარდაცვალების განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×3 სტრიქონი ზუსტად 100 მანეთი. ხელმოუწერელი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის მისამართი: გრიბოედოვის ქ. 8, შესახვევი რუსთაველის [illegible] 10—[illegible]

№ 43

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციის ა

№ 43

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მაშო ივანეს ასული, შვილები: კონონი, აკაკი, ივანე, ლადო, გოგოლა და ტერეზია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას თფილისში მათი დაუვიწყარი და საყვარელი

ნიკოლოზ (ნიკო) გრიგოლის ძე ცინცაძის

რომლის დასაფლავება მოხდება 24 თებერვალს დილით სამშაბათს სოფელ ბუკისციხეს (გურია) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე. (633 2—2)

გულით წყლული ელიოშა, ეთერი, [illegible], დათიკო, ბენო, აკაკი, რუბენი, სანდრო ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობ მოძმეებს, პირველის დაუვიწყარი მეუღლის, მეორის და მესამის საყვარელი შვილის, ხოლო დანარჩენთა ძმის

მარუსიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ორშაბათს, 23 თებერვალს (ახ. სტ.) მიცვალებულის გამოსვენებით ნაძალადევის [illegible] ქუჩა № 49, დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. (648 1—1)

გულ დათუთქული მშობლები: ვლადიმერი და ოლღა, და თამარი პაპავები, დეიდა და ბიძა ნატალია და ვლადიმერი კანდელაკები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავ ნაცნობ მეგობრებს მათი უსაყვარლესი

ნინიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს, 25 თებერვალს დილის 3 საათზე, ქ. თფილისი, ვ. კანდელაკის ბინა, ჩუღურეთის ქუჩა, [illegible] მოედანი. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (656 2—1)

გულდამწვარი შვილები: ელენე, სვიმონ, ქეთევანი და შვილისშვილები [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი მამის და ბაბუის მღვდლის

სპირიდონ ჯულელის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ს. სვირში სამშაბათს 24 თებერვალს. (653 1—1)

ალექსანდრე და არსენ ლომთათიძეები, ოჯახობით, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 25 თებერვალს, დილის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი დედის

ელისაბედ ლომთათიძის

სულის მოსახსენებლად. (ფ. 2—1)

ღრმად დამწუხრებული ძმა ივანე, დები: ბარბარე და ნინა, ძმები: მიშა და არჩილი, [illegible] გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი

თამრო ივანეს ასული ოძელაშვილის

გარდაცვალებას 3 ნაშუადღევს საღ. 6 საათ. სახლში (ვერის ქ. № 36 გამოსვენება სამშაბათს 24 თებერვალს დილის 10 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (659—1—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა აგენტებს

ან. [illegible] მოთხრობა გურიის ახლო წარსულიდან

„ტყის ძმები“

ფასი 40 მან.

ტრიფონ რამიშვილის კომედია სამ მოქმედებათ

„სტუმარ-მასპინძლობა“

ფასი 25 მან.

საწყობი ორივე წიგნებისა წიგნის მაღაზია „განათლებაში“ ოლღას ქ. № 6. (6 3—1)

შრომის სამინისტროს მუშათა მაღაზია

წინადადებას აძლევს ყველას, ვისაც ნებსით თუ უნებლიეთ მიღებული აქვთ კუპონებზე ზედმეტი სახელმწიფო მომარაგების ფონდის სასურსათო ბარათები

დააბრუნონ ეს ბარათები 25 თებერვლამდე

ვინც აღნიშნულ რიცხვამდე ბარათებს არ დააბრუნებს, მათ სრულიად ჩამოერთმევათ უფლება მომარაგების ფონდიდან პროდუქტების მიღებისა, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და მათი სახელი და გვარი გამოქვეყნდება.

მომარაგების რწმუნებული. (6. 4—2)

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ პირთ, რომ 29 თებერვალს 1920 წელს დილის 11 საათზე ქ. თფილისში, ქალაქის საბჭოს დარბაზში

გაიხსნება

საქართველოს მეაბრეშუმეთა ყრილობა

დასწრება შეუძლია ყველა მეაბრეშუმეს. ერობები, ქალაქის გამგეობანი, საკრედიტო და სხვა. საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს აგრონომთა დასწრება თავისუფალია. რაიონებიდან და ადგილებიდან მოხსენებები წარმოდგენილ იქნეს მოკლედ და გარკვევით საყვარელ[illegible]. წინასწარი ჩაწერა და ცნობების მიღება შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის მდივანთან გრიბოედოვის ქუჩა № 2. ტელ. 6—43 თფილისი. (640—2—1)

ქუთაისის ოლქის სასამართლოს შემადგენლობა გულ თბილი მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს დაუვიწყარი ამხანაგის [illegible] საქმეთა გამომძიებლის

ნესტორ დავითის ძე ჩიქოვანის

გარდაცვალებას. (ფ. 1—1)

ექიმი ბ. თ. ოქრომჭედლიძე იღებს შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რუსთაველის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

მედიცინის დოქტორი

ივ. ღულაძე

სიფილისი, ვენერული და კანის ავადმყოფობა. მიღება ავადმყ. ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. გარდა კვირისა მეჩნიკოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი № 3 ბინა № 5 მიხაილოვის პროსპექტის მოსახვევში. (616—2—2)

ოსმალეთის პროვინცია თუ დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია?

მიწისძვრით გამოწვეული უბედურება და ბათუმის ბედი — აი მწვავე საკითხები, რომლებმაც დღეს დაჩრდილეს ყველა დანარჩენი მხარეები ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. ეს საკითხები იდგენიან დღის წესრიგში პირველ რიგში, მანამ რესპუბლიკას არ დაუცხრება მათ მიერ გამოწვეული ტკივილები.

ბათუმის საკითხის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პოზიციას, რომელსაც დაიჭერენ საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები. როგორც ამ დღეებში ვთქვით, ბათუმის ბედით დაინტერესებულნი უნდა იყვნენ აზერბეიჯანი და სომხეთიც, რადგან ამ ორი სახელმწიფოს ბედი მჭიდროთ დაკავშირებულია ბათუმის ბედთან. არ არის იშვიათი სადავო ქალაქი, მეტადრე თუ იგი ზღვის პირას მდებარეობს, რომ მასში მრავალ სახელმწიფოთა ინტერესები არ იყოს თავმოყრილი და გადახლართული. მაგრამ ამისთანა ქალაქის ბედის სამართლიანი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ინტერესთა შეთანხმების გზით. თუ ამ გზას დავადგებით, არც ერთი ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს ეჭვი არ დაებადება იმაში, რომ იმ მნიშვნელობას, რომელიც ბათუმს საქართველოსთვის აქვს, დაახლოვებითაც არ შეიძლება გაუთანაბრდეს ის მნიშვნელობა, რომელიც ამ ქალაქს აქვს სომხეთისთვის ან აზერბეიჯანისთვის. ბათუმი ის ქალაქია, რომელსაც საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რომლის გარეშეც საქართველოს არ შეუძლია იარსებოს და თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს. არც აზერბეიჯანისთვის, არც სომხეთისთვის ბათუმი არ წარმოადგენს „ყოფნა-არ-ყოფნის“ საკითხს. როგორც უნდა მოეწყოს საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობა, არც სომხეთს, არც აზერბეიჯანს არავითარი საბუთი არა აქვს იმისა, რომ შესაძლებელი გახდეს ბათუმი მათ საზღვრებში შევიდეს. ბათუმს და მის ოლქს დღეს მხოლოდ ორი სერიოზული პრეტენდენტი ჰყავს: ერთია—საქართველო, მეორე—ოსმალეთის იმპერიალისტები. ან ერთს უნდა დარჩეს ბათუმი ინგლისის ჯარის წასვლის შემდეგ, ან მეორეს. და საქართველოს მეზობლები მოვალენი არიან დღესვე ნათლად გამოარკვიონ, რას მოითხოვს ამ ორში ამიერ-კავკასიის სარგებლობა საერთოთ და თვითეულ მის რესპუბლიკის—კერძოთ. საჭიროთ არ ვთვლით იმის ახსნას, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა სომხეთისათვის ენვერ-ფაშის გაბატონებას ბათუმს და მის ოლქში: ეს იქნებოდა პოლიტიკური ქარტიდან წაშლა სომხეთის რესპუბლიკისა და საბოლოო განადგურება სომხის ერისა. თვით სომხებმა ერთ ყველაზე უკეთესად იციან ეს. რაც შეეხება აზერბეიჯანს, თუ მისი მესვეურნი გულწრფელად დგანან აზერბეიჯანის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის ნიადაგზე, მათ უნდა გათვალისწინებული ჰქონდეთ, რომ პანისლამისტების გაბატონება ბათუმში ნიშნავს აზერბეიჯანის შეერთებას ენვერ-ფაშის ოსმალეთთან. კონსტანტინოპოლის პან-ისლამისტური გაზეთების კილოდან უეჭველად ჩანს, რომ ეს წრეები აზერბეიჯანს უკვე სთვლიან ოსმალეთის ნაწილად, უკვე ლაპარაკობენ აზერბეიჯანელებთან „ერთიანი დიდი სისხლის ძმობაზე“ და სრულიად უდავო საკითხად მიაჩნიათ აზერბეიჯანის მიერთება ოსმალეთის ფარგალში, იმდენად, რომ დღესვე ლებულობენ თავის თავზე აზერბეიჯანის ინტერესების დაცვას ამიერ-კავკასიაში, მის ურთიერთობაში მეზობელ სახელმწიფოებთან 1) ერგოს, თუ არა, ოსმალეთის იმპერიალისტებს ბათუმი და მისი ოლქი? 2) დარჩეს აზერბეიჯანი დამოუკიდებელ რესპუბლიკად, თუ იგი გადაიქცეს სულთანის იმპერიის პროვინციად? ეს ორი საკითხი თავის პოლიტიკური მნიშვნელობით აზერბეიჯანის რესპუბლიკისათვის სრულიად იდენტურია. აქამდის აზერბეიჯანი მტკიცეთ და შეურყევლად იდგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ნიადაგზე. საქართველოსთან ერთად იცავდა იგი ამ დამოუკიდებლობას ყველა გარეშე მტრისაგან, როგორც დენიკინელთაგან, ისე ბოლშევიკებისაგან. თავის დამოუკიდებლობის დაცვას უდებდა იგი საფუძვლად თავის დიპლომატიურ ურთიერთობას დასავლეთის სახელმწიფოებთან. დიდი ზეიმით და სიხარულით იდღესასწაულა მან თავისი დამოუკიდებლობის აღიარების დღე. და ჩვენ არა გვგონია, რომ ყველა ამის შემდეგ აზერბეიჯანმა გასცვალოს თავისი თავისუფალი რესპუბლიკა ოსმალეთის იმპერიალისტების ქვეშევრდომობაზე; არა გვგონია რესპუბლიკა გასცვალონ მონარქიაზე და თავისი კისერი გაუწოდონ ოსმალეთის მონობის უღლის დასადგმელად.

სომხეთის გავლენიანმა პარტიამ დღეს უკვე გამოსთქვა თავისი შეხედულება ბათუმის საკითხზე: ის სამართლიანათ აღიარებს, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს საზღვრებში შევიდეს. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოყვანილია გაზ. „აშხატავორის“ წერილი, რომელიც ბათუმის საკითხს გადაჭრით ამ ფორმულას აყენებს:

„ყველა მხარეები უნდა შეთანხმდნენ ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთებაში იმ პირობით კი, რომ ქალაქ ბათუმის და მის ნავთსადგურის შესახებ განსაკუთრებულ ხელშეკრულობით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აზერბეიჯანის და მეტადრე სომხეთის განსაკუთრებული უფლებანი“.

მთავარი აქ ის არის, რომ „აშხატავორს“ უცნია საქართველოს უფლებები ბათუმზე. რაც შეეხება პირობებს, რომლებსაც „აშხატავორი“ საქართველოს უდებს, რასაკვირველია, მეზობლებთან კეთილგანწყობილების დასამყარებლად საქართველო ყოველ დათმობაზე მზად არის, ოღონდ კი ძირითად საკითხებზე დავა არავინ აიტეხოს.

თუ „აშხატავორის“ აზრი სომხეთის მესვეურთა აზრათ მივიჩნიეთ, სომხეთს თავისი გადამწყვეტი სიტყვა უკვე უთქვამს.

ჯერი აზერბეიჯანზეა. დამოუკიდებელი რესპუბლიკების ქვეყნად დარჩეს ამიერ-კავკასია, თუ იგი გადაიქცეს ოსმალეთის იმპერიის განაპირა პროვინციად? ასე დგას მის წინაში საკითხი, რომელიც მას მხოლოდ მოითხოვს ნათელს და გადაჭრილს პასუხს.

გორის ამბების გამო

დღითი დღე უფრო და უფრო ირკვევა სიდიადე იმ საშინელ უბედურებისა, რომელიც მოულოდნელათ თავს დაატყდა ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას.

შუაგულ საქართველოს უძველესი ქალაქი გორი აღარ არის. არ დარჩა დაუზიანებელი და საცხოვრებლათ გამოსადეგი არც ერთი შენობა. დიდი უმრავლესობა სახლებისა წარმოადგენს ნასახლართა გროვას. „ქვა ქვაზე არ დარჩა“—რომ იტყვიან, სწორეთ გორს დაემართა.

გორის ახლო მახლო ზოგიერთი სოფელიც მთლად დანგრეულია: განადგურებულია ხიდისთავი, ოხერა, უფლისციხე. დაზიანებულ სოფელთა რიცხვი ხომ ძლიერ დიდია. გრაკლიდან დაწყებული სკრამდის მთელი რკინის გზის შენობები მიწაზეა დაცემული.

ამ სტიქიურ უბედურებას ბევრი ხალხი უმსხვერპლია: ასამდის მარტო მკვდარი ითვლება, დასახიჩრებულთა რიცხვი კიდევ უფრო დიდია. უსახლკაროთ და ულუკმა-პუროთ დარჩენილი მოქალაქეთა რიცხვი ხომ ათი-ათასობით ითვლება.

ისეთი გაუმაგრებელ და სუსტ სახელმწიფოსათვის, როგორიც ჩვენია, ასეთი სტიქიური უბედურება შეიძლება საბედისწერო გამოდგეს; შეიძლება ერი წელში გატყდეს, თუ მან ძლიერათ არ გამოიჩინა ის, რასაც გერმანელები უწოდებენ „სიცოცხლის სურვილს.“ უბედურებაში გაკაჟებული არის ჩვენი ხალხი, საშიშროებაში გამობრძმედილია იგი. ამ სამი წლის განმავლობაში რა არ გადიტანა მან თავის თავზე, რამდენჯერ მდგარა იგი უფსკრულის ნაპირზე, რამდენჯერ გაუბედურებას უქადდენ მას გარეშე შემოსეული მტრები, მაგრამ ჩვენმა ხალხმა, მეტადრე მისმა დემოკრატიულმა ნაწილმა, გამოიჩინა იმოდენა სასიცოცხლო ძალა, რომ არც ერთ უბედურების წინაშე არ შემდრკალა, არც ერთ საშიშროების წინაშე არ დაცემულა სულით და ქედი არ მოუხრია.

და თუ ასეთი სულიერი სიძლიერე გამოიჩინა ჩვენმა ხალხმა, როდესაც უბედურება მთელს ხალხს ატყდებოდა თავს, ნუ თუ იგი დაბეჩავდება და ვერ გაუძლებს იმ უბედურებას, რომელიც უმთავრესათ დაეწვა საქართველოს ერთ ნაწილს! უბედურება, მართალია, საშინელია, ქართლის გულში მიყენებული ჭრილობა მთელს საქართველოს, მის ყველა ნაწილებს აუტანელ ტკივილით ემჩნევა. მაგრამ ჩვენი დემოკრატიის შეგნებას ძალა ვიცით და დარწმუნებულნი ვართ, რომ არავითარ სასოწარკვეთას, არავითარ სულით დაცემას ადგილი არ ექნება ჩვენს ქვეყანაში. თვით დაზარალებულ გორის მაზრის მცხოვრებთათვის იქნებოდა საპატიებელი ასეთი სასოწარკვეთა და უიმედობა. მაგრამ დღეს მთელი საქართველო მათთან უნდა იყოს, ყოველმა კუთხემ უნდა გაუწოდოს მათ ხელი, რომ სტიქიურ უბედურების სიმწარე შეუმსუბუქოს და მისი გადატანა გაუადვილოს.

პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვენმა დემოკრატიამ დიდი უნარი და შეგნების სიმაღლე გამოიჩინა ეს საუკეთესო თავდებია იმისა, რომ სტიქიურ ძალებთან ბრძოლაშიც იგი გამოიჩენს იგივე შეგნებას, ისეთსავე უდრეკელობას, ისეთსავე „ჭირსა შიგან გამაგრებას“.

შიგნით მარცხი მოგვეგება მაშინ როდესაც გარეთ ყოველ მხრივ შავი ღრუბლები იკრიბება და როდესაც ჩვენი ერი გამალებული ადევნებს თვალყურს გარეშე ძალთა მოძრაობას. მოულოდნელათ მიღებული შიგნითა ჭრილობას რაც შეიძლება მალე უნდა მალამო დავადოთ და დავამშვიდოთ, რომ მთელი ჩვენი ყურადღება ისევ მივაპყროთ მთავარ საფრთხეებს, რომლებიც გარედან და შიგნიდან მოგვდგომია.

ამას მოითხოვს ჩვენი ნორჩი სამშობლოს სიცოცხლე.

პრესა

„აშხატავორი“ (№ 42) ეხება ბათუმის საკითხს და შემდეგს სწერს:

„ამ ბოლო დროს ბათუმის საკითხი შექმნილ მდგომარეობის გამო საფრთხილო საგნად გამხდარა გავრცელებულ ხმებით, თითქოს ინგლისელები მიდიან ბათუმიდან, ავანტიური ტიპის ელემენტებიც ცდილობენ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას. ბათუმში დაბინავებული ოსმალეთის აგენტები ოქროს საშუალებით ცდილობენ ძმ მადიანი ხალხი მიიყვანონ იმ აზრამდე, რომ ბათუმის, არდაგანის, ყარსის და ახალციხის მაზრის ერთი ნაწილიდან დაარსონ ახალი „სამხრეთ-დასავლეთის რესპუბლიკა“. აი ეს იყო მიზეზი, რომ ამ ბოლო დროს ოსმალური გაზეთი „იფშამი“ და აზერბეიჯანის თურქული ასოებით დაბეჭდილი გაზეთი „აზერბეიჯანი“ სწერდა ამ საგანზე. არის კიდევ სხვა მიმდინარეობა,—ეს ბოლშევიკურ-დენიკინური ან ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, რუსული მიმდინარეობა, რომელიც განაგრძობს ბათუმის ოლქის და ქალაქის პატრონად თავის თავის ჩათვლას. მესამე მიმდინარეობა ქართველთა მიმდინარეობაა, რომელიც ესწრაფვის, რომ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს საქართველოს და ბოლოს, მეოთხე მიმდინარეობა ამტკიცებს, რომ ბათუმი გახდეს თავისუფალი ქალაქი—porto franco ამ ოთხ მიმდინარეობათა გაჯიბრებამ, რომ მიიღოს საკმაოთ გამწვავებული ხასიათი“.

„აშხატავორი“ პირველ ორი მიმდინარეობას,—ესე იგი, თურქულს და რუსულს თვლის უსაფუძვლოთ და უაზროთ.

„სერიოზულათ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ მიმდინარეობაზე, რომლითაც უნდა ბათუმის ოლქი ქალაქ თურთ შეუერთდეს საქართველოს ან მხოლოდ ქალაქი ბათუმი დარჩეს თავისუფლად.

საუკეთესო და მიზანშეწონილი იქნებოდა პირველი ფორმა, ესე იგი, რომ საქართველოს შეერთებოდა მთელი ბათუმის ოლქი და თვითონ ქალაქი ბათუმიც, უკეთუ ბათუმს არ ჰქონოდა აზერბეიჯანისთვის და განსაკუთრებით სომხეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა, რადგან ეს ერთად-ერთი გზაა, რომლითაც ამ ქვეყნებს შეუძლიანთ დამოკიდებულობანი აწარმოონ გარეშე ქვეყნებთან. ალებ მიცემის, სამრეწველო და საზოგადოთ ეკონომიურ თვალსაზრისით ბათუმს ერთნაირი დიდებულობა აქვს სამივე რესპუბლიკებისთვისაც. მართალია, საქართველოს თავის გეოგრაფიულ მდგომარეობის გამო, უფრო მეტი უფლება აქვს, მაგრამ ისიც მართალია, რომ საქართველოს აქვს სხვა ნავთსადგურებიც. აზერბეიჯანს შეუძლია უზრუნველყოს ბათუმით სარგებლობა თავის ნავთის საშუალებით, რადგან ყველა ხიფათი აზერბეიჯანის მიმართ ბათუმით არ სარგებლობის ნიადაგზე გაბათილდება ბაქო-ბათუმის მხრით ნავთის მიცემის დაყენებით.

სულ სხვაა სომხეთის მდგომარეობა. ისეთი ქვეყანა, რომელმაც ყველაზე უფრო უნდა გარეშე ქვეყნებიდან მიიღოს, არ შეიძლება დაიდოს თავისი მეზობლის „კეთილ-მხედველობის“ ქვეშ. ამ ახლო ხანებში, მომხდარი მოვლენები ტრანზიტის და სხვა საკითხების შესახებ, საუკეთესო დამტკიცებაა იმის ცხადია, რომ სომხეთის და აზერბეიჯანისთვის საიმედო საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა ბათუმის ნეიტრალიზაცია, ესე იგი, ნეიტრალურ ქალაქად გამოცხადება. მაგრამ რომ ამისთანა გადაჭრამ სამართლიანი უკმაყოფილება უნდა გამოიწვიოს საქართველოს მხრით.

მაშასადამე ჩვენ გვგონია, რომ ყველა მხარეები უნდა შეთანხმდნენ ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთებაში იმ პირობით, რომ ქალაქ ბათუმის და მისი ნავთსადგურის შესახებ განსაკუთრებული ხელშეკრულობით უზრუნველყოფილი იქნება აზერბეიჯანის და მეტადრე სომხეთის განსაკუთრებული უფლებანი, ერთი სიტყვით, საერთაშორისო თვალსაზრისით იმისთანა მდგომარეობა უნდა შეიქმნეს, რომ არც საქართველო დაზარალდეს და არც სომხეთის ხელის ვაჭრობა და მისი სასიცოცხლო საქმე დარჩეს ვისიმე თვითნებობაზე დამოკიდებული. ეს იქნება საკითხის საუკეთესო გადაჭრა.

სომხეთის უფლება და განსაკუთრებული პირობები ისე ცხადი არის, რომ არა გვგონია ვინმე შეეცდეს მის უარყოფას. სხვა გვარად საქმე გადაწყვეტა მძიმე შედეგს მოიტანს და პოლიტიკურ ინტრიგებს ბოლო არ ექნებოდა, უკეთუ დაინტერე

ივერიელი

დღეს

ბოლშევიკების ცნობით ინგლის-გერმანიას შორის მოლაპარაკება სწარმოებს, რაც საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში აღელვებას იწვევს.

ფრანგული პრესა უკმაყოფილოა ადრიატიკის საკითხში პრეზიდენტ ვილსონის ჩარევით.

როსტოვისა და ნოვოჩერკასკის რაიონებში სასტიკი ბრძოლაა. ბოლშევიკების ცნობით ამ ფრონტზე მოხალისენი შეტევაზე გადასულან.

ბულ ძალებს შორის არ მოხდებოდა მტკიცე შეთანხმება. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ამ შემთხვევაში მაინც, სომხეთის და საქართველოს პოლიტიკური წრეები გამოიჩენენ საჭირო ჭკუას და შეერთებული ძალებით უზრუნველყოფენ თავიანთ ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებს ყოველგვარ მოულოდნელობისაგან».

მიწის ძვრა საქართველოში

დამფუძნებელი კრების კომისია.

დამფუძნებელ კრების გორში საგანგებოთ გაგზავნილმა კომისიამ შემდეგი მოხსენება წარმოუდგინა: ქართლის დედა ქალაქი გორი აღარ არსებობს იგი მიწის ძვრის მსხვერპლი გამხდარა, დანგრეულია ყველა შენობები არც ერთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაწესებულება აღარ მუშაობს. ნანგრევების ქვეშ მოყოლილია ხალხის სარჩო-საბადებელი. მცხოვრებლები ქუჩაში ყრიან. სიცივე, სიშმილი, შიში სიტიტვლე, ვაება ზნეობრივი ტანჯვა. განადგურებულია სოფლები: ხიდისთავი, უფლისციხე, დოესი, ცხისჯვარი, გორისჯვარი, ურბნისი, მეტეხი, შერთული, სვენეთი, ოთარაშენი, თორტიზა, ტინისხიდი, რუისი, სკრა, კარალეთი, ატენი, სასირეთი, ყარაღაჯი, ხოვლე, ბეთლემი და სხვა. რკინის გზის სადგურები—გრაკალი, უფლისციხე, გორი და სკრა სულ დანგრეულია.

გორი რომ ცენტრად ავიღოთ, მის ირგვლივ დაახლოვებით 7 ვერსის რადიუსიან სივრცეში მოსახლეობა განადგურებულია.

ნანგრევებს მოუკლავს სულ 84 სული. გამოთხრის შემდეგ ეს ციფრი ალბათ გაიზრდება. სწრაფი დახმარება თავის დროზე მივიდა: ექიმები, სანიტრები, საჭირო მედიკამენტები, პური შაქარი, სამხედროული და სხვადასხვა სურსათი 21-ს გათენებისას იქ იყო. მოვიდნენ [illegible], მოიტანეს კარვები.

კომისიის ხელმძღვანელობით მოეწყო დროებითი კომიტეტი დამფუძნებელ კრების წევრის დ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით. კომიტეტში შევიდნენ ერობის, ქალაქის, ჯარის და გვარდიის თითო წარმომადგენელი. მუშაობა დაუყოვნებლივ გაჩაღდა. გაზიდეს კარვები ხალხის მოსათავსებლად, შეუდგნენ ნანგრევების გამოთხრას და ქვეშ მოყოლილთა ძებნას, გახსნეს მკვებავი პუნქტები, შეუდგნენ დაჭრილთა და ავათმყოფთა სადგურზე გადაზიდვას.

ხალხი გამორბის,—ვერ ჩერდება ნანგრევებს შორის, რადგან მიწა განუწყვეტლივ ქანაობს. ორ-სამ საათში ერთხელ გაისმის გუგუნი და დაჰკრავს ხოლმე, მორბიან სადგურისაკენ. სანიტარულ მატარებელში ყველას ვერ ათავსებენ ავადმყოფებს დაჭრილებს, ბავშვებს და ფეხმძიმე ქალებს, რომელთაგან ზოგიერთი იქვე მშობიარობენ.

გადაწყვეტილია ხალხის წასვლა [illegible], ვერხნი ბორჯომს, სურამს, თფილის და ახლო მახლო გადარჩენილ სოფლებისაკენ გახიზვნა.

გრაკალიდან მოვიდა გზის გასწორების შემდეგ ორი მატარებელი—სახალხო და სანიტარული. თფილისს წამოსვლის მსურველნი სახალხო მატარებელში თავსდებიან, რომელსაც უბამენ 4 „ტეპლუშკას“ სანიტარულში ავადმყოფებს და დაჭრილებს ათავსებენ. საღამოს 6 ს. შედარებით მოეწყო დახმარებისა და ევაკუაციის საქმე.

22-ს გათენებისას გაიგზავნა დამხმარე რაზმები ყველა დაზარალებულ სოფლებში.

კომისია თფილისს ბრუნდება მოხსენების გასაკეთებლად. პრეზიდიუმის წევრნი ალექს. ლომთათიძე და ს. მდივანი 21-ს ღამით ვაგზლიდან მთავრობის თავმჯდომარესთან მიდიან მდგომარეობის დაწვრილებით გასაცნობად და [illegible] ზომების მისაღებად.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო. ეროვნული ტრაგედიის დღეები დადგა, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ჯანსაღი ერი ამ უბედურებასაც დასძლევს. ქალაქი გორი, ქართლის გული, მკვდრეთით უნდა აღსდგეს დანგრეული სოფლები ხელახლად უნდა გაშენდეს. ამისთვის კომისიის აზრით შემდეგი ზომების საჭირო:

1) დამფუძნებელმა კრებამ ჯერხანად უნდა გადასდოს 20 მილიონი მანეთი.

2) მთავრობამ ხე-ტყე, სანოვაგე, საექიმო დახმარება, თბილი ტანისამოსი და აუცილებლად საჭირო სხვა საგნები დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს დაზარალებულთ უსასყიდლოთ.

3) უნდა დაარსდეს განსაკუთრებული კომისია მთავრობის ერთ-ერთ წევრის მეთაურობით ამ საქმის გასაძღოლად.

4) დაუყოვნებლივ გაიგზავნოს დანგრეულ ადგილებში ფოტოგრაფი და კინემატოგრაფის აპარატი სურათების გადასაღებად.

5) მოეწყოს ფართო ინფორმაცია ეროვნულ უბედურებისა, როგორც საქართველოში, აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოებში და ევროპა-ამერიკაში.

6) ყველაფერი ეს მოხსენდეს დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად.

მთავრობის საგანგებო კომიტეტი.

კვირას, 22 თებერვალს დილით თფილისიდან გორში გაემგზავრა მთავრობის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე, დამფუძნებელი კრების წევრები: ივ. გომართელი, პ. გელეიშვილი, ექიმები: ს. ჯაფარიძე, ზანდუკელი და ვ. დამბაშიძე. დაზარალებული მცხოვრებლებისათვის მათ წაიღეს: 500 ფუთამდე გამომცხვარი პური, შაქარი, ჩაი, კონსერვები, თბილი ტანსაცმელი, კარავების მოსაწყობი მასალები, მედიკამენტი და სხვა. გორში გაიგზავნა აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტთა რაზმი, რომელიც ექიმ ზანდუკელის განკარგულებაში იქნება და საჭირო დახმარებას აღმოუჩენს დაზარალებულთ.

დაჭრილ-დასახიჩრებულნი.

თბილისში ექიმ ზანდუკელმა და ჯაფარიძემ მიიღეს 100 მდე დაჭრილ-დასახიჩრებული გორიდან სანიტარული ვაგონით ჩამოყვანილი. ავათმყოფები განაწილებულ იქნენ მიხეილის და არამიანცის სახელობის საავათმყოფოებში.

განკარგულება რკინის გზას.

რ. არსენიძემ სადგურზე განკარგულება მოახდინა, რომ დაზარალებულთათვის საჭირო სურსათი და ყოველგვარი სხვა დახმარება დაუყოვნებლივ იგზავნებოდეს ხოლმე დანიშნულებისამებრ. წინადადება მისცა აგრეთვე წითელი ჯვრის რწმუნებულს ექ. ზანდუკელს, რომ ყველა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებული დახმარება მან სათანადო ანგარიშით ჩაიბაროს და ამ დახმარების წესიერათ განაწილებას სასტიკი თვალყური ადევნოს. დაკარგულ ნივთებისა და გასამართლებელ საბუთების უქონლათ სურსათის დახარჯვაში პასუხისმგებლობა დაეკისრა როგორც მთავარ ხელმძღვანელებს, აგრეთვე დამხმარე რაზმებში მომუშავე პერსონალის მთელ შემადგენლობას.

სად. გრაკალში.

დაახლოვებით დილის 4 ს. ჩვენი მატარებელი თფილისიდან დაიძრა. გათენებისას მივადექით სად. გრაკალს, რომელიც მიწის ძვრისაგან საშინლად დაზარალებულია. სადგურის წინა ნაწილი დაშლილია, ბლოკსადგურის მხარე სრულიად გამონგრეული, შიგნით ოთახები დახეთქილი და მინგრეულ-მონგრეული. საშინელი უბედურობისაგან თავზარ დაცემული მუშა-მოსამსახურენი ერთ ფიცრულ ფარდულში შეკრებილან ცოლშვილიანათ გადარჩენილი საოჯახო ნივთებით. სიცივით გაწუხებული ბავშვები საცოდავათ ძაგძაგებენ და დაფეთებული თვალებით შეჰყურებენ კედლებს ქარის ყოველ შემობერვაზე. უნუგეშო სანახაობას წარმოადგენენ მათი მშობლებიც. უძინარი, გაციებულნი, შეშინებული სახეებით ადამიანთა ლანდს წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ყველანი თავიანთ პოსტებზე დგანან და ამ ჯოჯოხეთურ პირობებში განაგრძობენ სამსახურის მოვალეობის შესრულებას. სადგურის მოხუცებული უფროსი ყველას მოუწოდებს: მიშველეთ რამე, ვაგონი გამოგვიგზავნეთ, რომ ტელეგრაფის აპარატი შიგ მოვათავსოთ და საშუალება მოგვეცეთ რკინის გზაზე ნორმალური მოძრაობა არ დაირღვესო. რ. არსენიძეს მან სთხოვა აგრეთვე მექანიკის გამოწვევა თფილისიდან, ტელეგრაფის აპარატის ახალ ბინაზე გადასატანათ. უკვე დაბინდებისას აპარატი უკვე ახალ ბინაზე ვნახეთ მოწყობილი, მხოლოდ მოსამსახურენი ისევ ცივ ფარდულში იყვნენ მოთავსებულნი.

უფლის ციხე.

მივედით უფლის ციხეში. აქაც სურათი იგივეა. სადგური ნამონგრევულია, მოსამსახურეებს ვაგონებში შეუფარებიათ თავი ცოლშვილით, ტელეგრაფის აპარატი ხის ძველ შენობაში მოუთავსებიათ და განაგრძობენ მუშაობას. რ. არსენიძე ათვალიერებს შენობებს, კითხავს მოსამსახურეებს რას საჭიროებენ საჩქაროთ და ან როგორია მდგომარეობა მახლობელ სოფლებში. მორიგე მოხელე უხსნის ყველაფერს და თან დასძენს, რომ სადგურის პირდაპირ, მტკვარს გაღმა მდებარე სოფელი, ძველი ისტორიული უფლის ციხე, მიწის ძვრამ სრულიად გაანადგურა. იქვე სადგურზე აღმოჩნდნენ ამ სოფლის გლეხები, მათი გამოკითხვით გამოირკვა, რომ სოფ. უფლის ციხეში დაუნგრეველი შენობა არ დარჩენილა. 125 კომლი გლეხი ცის ქვეშ არის დარჩენილი. მათი სარჩო-საბადებელი ნანგრევებს ქვეშ მოყვა. ჯერ-ჯერობით 18 მკვდარი არის ნანგრევებიდან ამოღებული. ითხოვენ სანოვაგით დახმარებას და თავშესაფარს. მათივე სიტყვით მთლად განადგურებულია მეზობელი სოფელი ქვახვრელიც, სადაც 150 კომლია მცხოვრები. ხუთამდე მკვდარი ამოუთხრიათ ნანგრევებიდან. ჯერ-ჯერობით არც ნივთიერი და არც საექიმო დახმარება არ მიუღიათ, მინისტრის განკარგულებით დაუყოვნებლივ გაიგზავნა ამ ორ სოფელში სტუდენტთა ორი პატარა რაზმი და მათ დავალათ დაწვრილებითი ცნობების შეკრება იმის შესახებ თუ რა ხასიათის და რა საზომით უნდა მიეცეთ მცხოვრებთ დახმარება და დაუყოვნებლივ აცნობონ ეს ექიმ ზანდუკელს სათანადო ზომების მისაღებად. მშიერებს იქვე დაურიგეს პური.

გავემართეთ გორისაკენ.

გზაში გორისაკენ. შორიდანვე გვინდა გვენახა ის უბედურობა, რაც გორს თავს დაატყდა. მივჩერებივართ მთაგორაკებს, რომლებიც ქ. გორს თავს დაჰყურებენ. გორის ჯვარის ეკლესია, რომელიც არწივივით ზევიდან გადმოსცქეროდა მოდუდუნე მტკვრის ტალღებს და შორს ციხესთან ერთად ცოცხალი მატიანე იყო ჩვენი განაწამები ცხოვრებისა, დღეს მგზავრის თვალს აღარ ეჩვენება შორიდან. ქალაქის საშინელი სურათი მასაც ვერ აუტანია და გორის ციხესთან ერთად ისიც დაღუპულია, დაქცეულია...

რკინის გზის მარცხნით გაშენებული, ერთ დროს ხეხილ-ვენახებით შემკული ხიდისთავი, ახლა მხოლოდ რიყის ქვანაყარს წარმოადგენს. ერთი ცოცხალი არსების ფეხსაც არსად მოსჩანს. ნაწილი მცხოვრებლებისა ნანგრევებს ემსხვერპლა, ცოცხლად გადარჩენილნი, თავზარ დაცემულნი გაფანტულან ყოველი გზით.

გორში.

შევდივართ თვით გორში. სადგურის შენობა, სადაც რამდენიმე დღის წინათ სიცოცხლე სდუღდა, დღეს მილეწ-მოლეწილი და გაუკაცრიელებულია. მის წინ ლანდებივით დაიარებიან გაუბედურებული ქალაქის პატრიოტები და მოღვაწენი: ერობისა და ქალაქის გამგეობათა წევრები. რამდენიმე გაუბედურებულ მოქალაქეს გადარჩენილი „ქონება“ ფუთებში გამოუკრავს და მძიმე სევდა მოწოლილი დაშტერებით აყოლებს თვალებს რკინის გზის ლიანდაგს თითქოს ვერ გაურკვევია, ზევით თუ ქვევით გაჰყვეს მატარებელს დაღუპული ბინის მოსაბრუნებლად.

ქარი ქრის. დილის სუსხია. მინისტრი განკარგულებას იძლევა მასთან გამოცხადდნენ დაზარალებულთა დასახმარებლათ მომუშავე საპასუხისმგებლო პირები. რამდენიმე წუთში ვაგონში თავს იყრიან: დამფ. კრების წევრი და თფილისის სამაზრო ერობის თავმჯდომარე დ. ონიაშვილი, გორის სამაზრო ერობის ყოფილი თავმჯდომარე მ. აბაშიძე, მ. კლიმიაშვილი, შ. ჯავახიშვილი, ეფრემიძე, გორის ქალაქის მოურავი, სურამის ქალ. მოურავი ხიდირბეგიშვილი, ექ. ზანდუკელი, გულისაშვილი, ინჟინერი ირ. ბურჯანაძე და სხვანი.

მინისტრი რ. არსენიძე დაწვრილებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დაზარალებულთა დასახმარებლათ პირველ ყოვლისა საჭიროა უმწეოთ დარჩენილ ქალებისა და ბავშვების ქალაქის ნანგრევებიდან გახიზვნა. მახლობელი რაიონები, სადაც შესაძლოა ლტოლვილების ამ თავათ უმტკივნეულოთ მოთავსება არის სურამი, ხაშური და ბორჯომი. თფილისში მოათავსებენ მხოლოდ ავადმყოფებს და მოსწავლე ახალგაზრდობას, ვინაიდან უბინობის გამო იქ ყველა ლტოლვილის მოთავსება შეუძლებელია. ამ მიზნით სურამ-ხაშურის რაიონის რწმუნებულათ ნიშნავს ექიმ გულისაშვილს და წინადადებას აძლევს დაუყოვნებლივ შეადგინოს დამხმარე კომიტეტი ქალაქის გამგეობის, ერობის და გვარდიის წარმომადგენლებისაგან და ახლავე გააკეთოს შემდეგი.

1) მოახდინოს რეგისტრაცია ყველა თავისუფალ ბინებისა და პატრონებთან შეთანხმებით დაიქირაოს ლტოლვილების მოსათავსებლათ.

2) დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს საკვები პუნქტები ხაშურში და სურამში, რამდენ ადგილასაც საჭირო იქნება.

3) ახლავე უნდა დამზადდეს საკმაო რაოდენობა შეშის ბინების გასათბობათ.

4) შეგროვდეს ადგილობრივ სანოვაგე, რისი დაგროვებაც კი შესაძლებელი იქნება.

5) მთავრობისაგან უნდა ჩაიბარონ და ლტოლვილთა შორის განაწილდეს: პური, ჩაი, შაქარი, ტანისამოსი და ფეჩები.

6) ახლავე მოწესრიგდეს გაწეული ხარჯების ანგარიშის საქმე.

შემდეგ მინისტრმა მოისმინა მოხსენება დამფ. კრების წევრის ონიაშვილისა გორის დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის შესახებ. კომიტეტში შედიან: თავმჯდომარეთ დავ. ონიაშვილი, წევრებათ ქალაქის მოურავი, ერობის თავმჯდომარე და გვარდიის შტაბის წარმომადგენელი. კომიტეტს დღემდე მოუხერხებია ორი მატარებლით ლტოლვილების ქალაქიდან გაყვანა. მოუწყვია დარჩენილ მცხოვრებთათვის სურსათის მიწოდების საქმე, რომელსაც ხელმძღვანელობს ერობის გამგეობის თავმჯდომარე მ. კლიმიაშვილი, უსახლკაროთ დარჩენილი ხალხისათვის გაუმართავს კარავები და დროებით იქ მოუთავსებიათ ისინი. შეძლებისდაგვარათ საექიმო და სურსათით დახმარება მიეცია დაზარალებული სოფლებისათვის. მოუწყვია დარჩენილ სახელმწიფო და მოქალაქეთა ქონების დაცვის საქმე. ამ მიზნით ქალაქი ორ საკომენდანტოთ არის დაყოფილი. ტეხნიკური კომისიისათვის მიუნდვია შენობების დათვალიერება და მათი შემოწმება. მიღებულია აგრეთვე ზომები ნანგრევებში მოყოლილი ქონების ამოსაღებათ.

თავის მხრით კომიტეტი საჭიროთ სთვლის აღდგენილ იქნეს ადგილობრივი დაწესებულებების მუშაობა. ამ მიზნით თავიანთ ადგილებზე უნდა დარჩნენ: ქალაქის გამგეობის წევრები და მოსამსახურენი, ერობის, რკინის გზის, ხაზინის, ფოსტა-ტელეგრაფისა და გვარდიის შტაბის. საჭიროა აგრეთვე კომიტეტს რეგულიარულად მოსდიოდეს: პური, შაქარი, ჩაი და სხვა სანოვაგე.

მომხსენებლის სიტყვით ქალაქში არ მოიპოვება ისეთი შენობა, რომელშიაც ამ ჟამად შეიძლებოდეს მუშაობა ან ცხოვრება. დიდათ დაზარალებულია აგრეთვე სოფლები: ურბნისი, სკრა, კარალეთი, [illegible], რუისი, სვენეთი, ხელთუბანი, თორტიზა და ატენი.

მოხსენების მოსმენის შემდეგ მინისტრი არსენიძე უცხადებს კომიტეტის წევრებს, რომ მთავრობის საგანგებო კომიტეტის სახელით მთავარ რწმუნებულათ ნიშნავს ექიმ ზანდუკელს, რომელსაც უნდა დაემორჩილონ თავიანთ მოქმედებაში ლტოლვილთა დახმარებაზე მომუშავე ყველა პირები და ორგანიზაციები. აძლევს კომიტეტს სამოქმედო ინსტრუქციას და მთავრობის მხრით აღუთქვამს ყოველივე დახმარებას.

ნ. რამიშვილის დაბრუნება.

22 თებერვალს, თფილისში დაბრუნდა შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი ნოე რამიშვილი.

ის თფილისიდან გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების დასათვალიერებლათ 16 იანვარს. ამ ხნის განმავლობაში ჩამოიარა და მოხსენებები გააკეთა შემდეგ ადგილებში: ზესტაფონში, ჭიათურაში, სახერეში, ქუთაისში, ტყიბულში, ბაღდადში, ხონში, [illegible], სამტრედიაში, სენაკში, აბაშაში, ბანძაში, ძველ-სენაკში, ნოქალაქევში, ხეთაში, ცაიშში, ზუგდიდში, სოხუმში, გაგრაში, გაგრის ფრონტზე, ფოთში, ოზურგეთში, ნაგომარში, ხიდისთავში, ჩოხატაურში, სურებში, სუფსაში, ნიგოითში, ლანჩხუთში, ხაშურში და ბორჯომში. ზოგიერთ ადგილას ორ-სამი მოხსენება იქნა მინისტრის მიერ გაკეთებული სხვადასხვა საკითხებზე.

უკანასკნელათ მინისტრს გამოუვლია ქ. გორში და სკრაში, დაუვლია ეს ადგილები, დაუთვალიერებია შენობები და, სხვათა შორის, შემდეგი ცნობები გადასცა ჩვენს თანამშრომელს:

სკრაში ყველა ქვის შენობა დანგრეულია, გორთან შედარებით სკრა უფრო მეტად დაზარალებულია, გადარჩენილა მხოლოდ რამდენიმე ხის შენობა. დაღუპულია 7 კაცი. ერთ ადგილას მცხოვრებლებმა მაჩვენეს ჭა. ჭიდან მიწის ძვრის დროს წყალი გადმოსულა, ამოუხეთქავს, და ამ ჟამათ შიგ არის მხოლოდ ქვიშა. ყოველ შემთხვევაში, ამას ყურადღება უნდა მიექცეს და საჭირო გეოლოგიური გამოკვლევა. სკრის რაიონში მიწა დახეთქილია, რკინის გზა ჩაწეულია. ხალხი სკრაში ისე დამფრთხალი არ არის, როგორც გორში. მთავრობა დაგვეხმარება და ისევ ავაშენებთ შენობებსო, ამბობენ. მე დავპირდი ხე-ტყის მასალის, ლურსმნების და სხვა საგნების მიწოდებას. უკვე გაცემულია განკარგულება ბორჯომიდან გამოგზავნილი ერთი ვაგონი ხე-ტყის მასალა დაზარალებულთ მოხმარდეს.

გორში დიდი ნაწილი შენობებისა დანგრეულია. დაღუპულა 9 კაცი, ხალხი სულ დამფრთხალია, დაბნეულია, რა ქნას არ იცის.

მივუშველოთ დაზარალებულ სოფლებს.

გრაკალიდან მივიღეთ 22 თებერვალს გამოგზავნილი შემდეგი ცნობა:

სოფელი დოესი, ახალქალაქის რაიონის (გორის მაზრა) სრულიად განადგურებულია. დაიღუპა 5 კაცი, არის რამდენიმე დაჭრილი, შენობები სულ მთლად დანგრეულია. მცხოვრებლები მინდორში არიან მშიერ-მწყურვალნი. მთელი მათი საქონელი, ტანსაცმელი და სურსათი ნანგრევებს მოჰყვა. ჯერ არავითარი დახმარება არ მიგვიღია, საჭიროა პირველ ყოვლისა პალატკებით და სურსათით დახმარება. გთხოვთ ყურადღება მოგვაქციოთ.

დოესის სოფლის მასწავლებელი მარიამ პავლეს ასული ჩიჩიაშვილი და ამორჩეული (ხელი უწერია ორ პირს).

გვატყობინებენ, რომ ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან დოესის მახლობელი სოფლები: ხოვლე, ყარაგაჯი და სხვები.

დახმარება დაზარალებულთ

დონის, ყუბანისა და თერგის უმაღლეს „კრუგის“ დელეგაციის დეპეშა.

დონის, ყუბანისა და თერგის უმაღლეს „კრუგის“ დელეგაციამ, რომელიც საქართველოში მოემგზავრება, შემდეგი დეპეშა გამოგზავნა სად. ყაზბეგში.

„საგარეო საქმეთა მინისტრს—გეგეჭკორს, ასლი გაზ. „ერთობას.“ გაიგო რა სამწუხარო ამბავი იმ უბედურებისა, რომელიც ქ. გორში ეწვია ხალხს,—დონის, ყუბანის და თერგის უმაღლესი „კრუგის“ დელეგაცია თავის თანაგრძნობას უცხადებს თქვენი სახით მთელ საქართველოს. დელეგაციამ საჩქარო წინადადებით მიმართა უმაღლეს კრუგს, დონის, ყუბანის და თერგის ატამანებს და ამავე ოლქების მთავრობებს, რათა მათ საჩქარო დახმარება აღმოუ-

კომუნისტების საქმიანობა*)

ქარლ კაუცკისა

მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები.

თვით ბოლშევიკებს არც იმედიათ სწამთ თავიანთი საბოლოო გამარჯვება. ისინი მთელ თავიანთ იმედებს [illegible] დღეზე ამყარებენ. თუ რომ რუსეთი აღარ იქნება რევოლიუციის მიერ ამორჩეულ ხალხათ, მაშინ მსოფლიო რევოლიუცია იხსნის რუსეთის ხალხს, ის იქნება მისი მხსნა.

რა არის მსოფლიო რევოლიუცია? მსოფლიო რევოლიუციის გაგება ორნაირათ შეიძლება.

მსოფლიო რევოლიუცია შეიძლება გავიგოთ ასე: მსოფლიოში სოციალისტური იდეები მომწიფდა და ამავე დროს პროლეტარიატი განვითარდა და გაძლიერდა ხალხში კლასთა ბრძოლა, წინააღმდეგობა,—მაშინ სოციალიზმი ხდება მსოფლიოს მამოძრავებელ ძალად, რომელიც გავლენას ახდენს ყველა სახელმწიფოების ცხოვრებაზე. მაგრამ შეგვიძლია აგრეთვე გავიგოთ იგი, როგორც მსოფლიოს გარევოლიუციონერება ბოლშევიზმის სულით, რომელსაც მოჰყვება ყველა მხარეში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლებების ხელში ჩაგდება; თუ ეს არ იქნება ასე, მაშინ რევოლიუცია არ იქნება მხსნელი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისა. ბოლშევიკების წარმოდგენით უნდა დაარსდეს ყველგან საბჭოთა რესპუბლიკები, არა-კომუნისტური ელემენტებს ყოველივე უფლებები უნდა ჩამოერთვას, უნდა იყოს დიქტატურა კომუნისტური პარტიის და უნდა გაჩაღდეს ისეთი სამოქალაქო ომი, რომელიც გასტანს ერთი თაობიდან—მეორემდე.

ბოლშევიკები ენერგიულათ აწარმოებენ აგიტაციას, რომელმაც უნდა მიიყვანოს ამ შედეგამდე. მსოფლიო რევოლიუცია ისე, როგორც ესმით ბოლშევიკებს, არ არის ჯერ, მაგრამ თუ ბოლშევიკების პროპაგანდამ ნაყოფი გამოიღო დასავლეთ ევროპაში, მაშინ მართლაც მსოფლიო რევოლიუციას იმ სახით, როგორც ჩვენ გვესმის, საფრთხე მოელის.

რუსული სახის მსოფლიო რევოლიუციის მთავარი მიზანია შიგნით, პროლეტარიატში ძმათა ომის გამოწვევა, ბოლშევიზმი არის ნაყოფი პარტიულ განხეთქილების, მან ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში სხვა სოციალისტურ პარტიათა მეოხებით, მას სურს შეინარჩუნოს რუსეთში ეს ძალა-უფლება სამოქალაქო ომის საშუალებით, რომელიც გადაიქცა ძმათა შორის სისხლის ღვრათ. თავის ბატონობის განსამტკიცებლათ ბოლშევიკები ცდილობენ სხვა ყველა სოციალისტურ პარტიებში შეიტანონ განხეთქილება, იმ პარტიებში, რომელთაც ჯერ კიდევ შეინარჩუნეს მთლიანობა.

ეს აზრი აქვს „მესამე ინტერნაციონალს“.

ამ გზით სურს მესამე ინტერნაციონალს გამოიწვიოს მსოფლიო რევოლიუცია. და ყოველივე ეს გამომდინარეობს თვით ბოლშევიზმის არსებიდან, რომელიც არ ეგუება „ცხოვრების უმაღლეს ფორმებს“, იმ ფორმებს, რომელიც დასავლეთ ევროპაში უკვე „მიღწეულია“.

დასავლეთ ევროპაში დემოკრატია არსებობს გუშინდელ დღიდან კი არა, როგორც ეს არის რუსეთში, იგი ნაყოფია მთელი რიგი რევოლიუციების, [illegible] ბრძოლის, რომელიც საუკუნოებით გრძელდება და რაც მასას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

ევროპაში არ შეიძლება მთელ კლასს, ჯგუფს ჩამოერთვას ყოველგვარი პოლიტიკური უფლებები. საფრანგეთში გლეხობა წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს და რომელიც თავგამოდებით იცავს კერძო საკუთრების პრინციპს. ბურჟუაზია საფრანგეთის, და უფრო მეტად ინგლისის, გამოწრთობილია კლასთა ბრძოლაში.

რუსეთში პროლეტარიატი გაცილებით სუსტია, ვიდრე დასავლეთში, მაგრამ ბურჟუაზია უფრო სუსტია რუსეთში. იქ, როგორც ყველა სხვა ქვეყნებში, სადაც გაბატონებულა სამხედრო ავტოკრატია, ბურჟუაზიას ჩაგრული აქვს როგორც შიში მთავრობის, აგრეთვე მასზე ბრმათ დაყრდნობა. აქედან წარმოსდგება რუსეთის საბრალო ლიბერალიზმი!..

მთავრობის ჩამოგდებამ, სამხედრო ძალა-უფლების დარღვევამ, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ბურჟუაზიაზე, იმ ბურჟუაზიაზე, რომელიც არ იყო დაჩვეული დამოუკიდებლად ეწარმოებინა პოლიტიკური ბრძოლა, რომ მან უბრძოლველად დაუთმო მოწინააღმდეგეს სამოქმედო ასპარეზი.

დასავლეთ ევროპაში საუკუნოობრივმა კლასთა ბრძოლამ ღრმად აღზარდა არამც თუ დაბალი კლასები, არამედ—მაღალი კლასებიც, უკანასკნელთ დაიწყეს პატივით მოპყრობა პროლეტარიატს და ამავე დროს დემოკრატიის გზით შეისწავლეს იერიშების მოგერიება და კატასტროფის თავიდან აცილება.

ანგლო-საქსონიის ქვეყნებში ბურჟუაზია კარგა ხანია უძლევს თავის საქმეს მუდმივ ძლიერ ჯარის დაუხმარებლივ, ის მთავრობას და პროლეტარიატთან ბრძოლაში ემყარება თავის საკუთარ ძალებს და მტრის წინაშე ადვილათ არ ჰყრის ფარხმალს. და ამავე დროს ეს ქვეყნები ომიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

ომმა არ დაშალა მათი ჯარები, როგორც ეს მოხდა ცენტრალურ სახელმწიფოებში და რუსეთში. აღმოსავლეთ ევროპაში ჯარისკაცები, არმიის გახრწნის პროცესში, შეიქნენ გადატრიალების ელემენტებით, განურჩევლათ იმისა, თუ რა კლასის წარმომადგენლები იყვნენ.

ეს ძლიერი ძალაა, რომელსაც შეუძლია დაახრჩოს რევოლიუცია. მას შეუძლია აგრეთვე, უძლურნი რევოლიუციონური ელემენტები, ძალა უფლების პატრონები გახადონ და დააყენონ ისინი ისეთ პრობლემების წინაშე, რომლისათვისაც არ არიან მომზადებულნი; ეს ძალა არ არის გამარჯვებულ ქვეყნებში. იქ სოციალიზმს შეუძლია სახელმწიფოს ძალა-უფლება ჩაიგდოს ხელში მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეიქმნება იმდენათ ძლიერი, რომ შესძლებს დემოკრატიის ჩარჩოებში, მოიპოვოს უპირატესობა სხვა პარტიებზე. მას იქ არ ექნება არავითარი საბუთი უარყოს დემოკრატია. იქ განვითარებული პროლეტარიატი ჩქარა არ დაუჯერებს, რომ იდეა დემოკრატიისა შეიცვალოს იმ დიქტატურის იდეით, რომელიც ყოველთვის გადადის პირად დიქტატურაზე.

მართალია, საფრანგეთის სოციალისტებში ძლიერია ბოლშევიკებისადმი სიმპატიები, მაგრამ ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი სრულიად სამართლიანათ შეუძლებლათ სცნობენ, რომ მათი ქვეყნის კაპიტალისტებმა საზღვარგარეთის სოციალისტური მთავრობა დაამხონ ძალადობით. ბევრს აგრეთვე ჰგონია, რომ ბოლშევიკური მეთოდები რუსეთისათვის საჭირო არის, მაგრამ ისინი სრულიადაც არ ფიქრობენ იმავე მეთოდებით საფრანგეთის მართვას. გარდა ამისა, საფრანგეთში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ბლანკისტური ბუნტარული ტრადიციები და პრუდონისტური ანტი-პარლამენტარული იდეები. ორივე ეს მოწინააღმდეგე ელემენტები საკვირველათ ერიგდებიან და კვლავ გაცოცხლდნენ სინდიკალიზმში. მათ შეუძლიათ ნიადაგი მოუმზადონ ბოლშევიზმს. სრულიად წარმოუდგენელია, რომ ბოლშევიზმი მოედოს საფრანგეთის მთელ პროლეტარიატს, მით უმეტეს, ინგლისის და ამერიკის. ბოლშევიზმის გაძლიერება ამ ქვეყნებში მოგვცემს იმას, რომ მუშათა კლასში მოხდება განხეთქილება, სწორედ იმ დროს, როდესაც ძლიერ საჭირო იქნება შეკავშირებული გამოსვლა მტრის წინააღმდეგ.

ამგვარათ, ბოლშევიკების აგიტაცია მსოფლიო რევოლიუციისათვის, როგორც ეს აღვნიშნეთ, არ უწყობს ხელს იმ მსოფლიო რევოლიუციას, რომელიც მზადდება. ბოლშევიკების აგიტაციას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიან მისთვის.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ერთ.“ № 17, 20, 22, 24, 26, 30, 33, 37, 39.

ჩინონ საქართველოს სურსათ სანოვაგით."

დელეგაციის წევრი ზოზული.

ბეჭდვითი საქმის პროფესიონალურ კავშირში.

22 თებერვალს შესდგა ხსენებულ კავშირის წევრთა საზოგადო კრება კოლექტიურ ხელშეკრულების განსახილველად, კრებას მოხსენდა მიწის ძვრისაგან გორის მცხოვრებლებზე თავს დატეხილი უბედურება, რის შემდეგ კრებამ გადასდო დაზარალებულთა სასარგებლოთ 10,000 მანეთი და დაავალა ადგილობრივ ავტონომიურ კომისიებს, რომ კავშირის წევრებ შორისაც იქნას შეგროვილი შემოწირულებანი.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

პროფესიონალური კავშირთა საბჭომ თავის 20 თებერვლის სხდომაზე დაადგინა ყოველი მხრივ დახმარება აღმოუჩინოს მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ. ამ საქმის მოგვარება დაევალა სეკრეტარიატს, რომელიც უკვე შეუდგა შემოწირულების მოგროვებას და სხვა.

სტუდენტებისაგან.

22 თებერვალს შესდგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-მსმენელთა საზოგადო კრება. მოსმენილ იქნა გორსა და მის მიდამოებში მომხდარ უბედურების შესახებ მოხსენება, კრებამ დაადგინა სტუდენტთა კავშირის სალაროდან დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდოს 10,000 მანეთი და შეგროვილ იქნას ფული სტუდენტ-მსმენელთა შორის. სტუდენტები მზათ არიან, რითაც კი შესძლებენ, დაეხმარონ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ.

დუშეთიდან.

გორის ამბავმა ფეხზე დააყენა ყველა. დღეს დუშეთში მოხდა დიდი მიტინგი, ახლო-მახლო სოფლებიდანაც ბევრი დაესწრო ხალხი. ასეთივე მიტინგებს მაზრის ყველა კუთხეებში აწყობენ თემები. შესდგა მაზრის ცენტრალური გორის დამხმარე კომიტეტი. შედიან ყველა ორგანიზაციების და საზოგადოებების წარმომადგენლები. ამნაირივე კომიტეტები რაიონებშიც სდგება. ხალხი ყველგან მწუხარებას და თანაგრძნობას გამოსთქვამს. ერობის თავმჯდომარე კონიშვილი.

სახ. თფილისის კონდუქტორებისაგან.

22 თებერვალს სახ. თფილისის კონდუქტორთა აუდიტორიაში შესდგა კრება თფილისის კონდუქტორებისა, რომელმაც ერთხმად დაადგინა: ვიდებთ რა მხედველობაში ჩვენი ძმების ცის ქვეშ დარჩენას, ვაცხადებთ ჩვენ მწუხარებას და ვწირავთ ჩვენ მცირე წვლილს. ყველა ჩვენ ამხანაგს თფილისის კონდუქტორს გამოერიცხოს გორის ფონდში გადასაცემათ თითოს ასი მანეთი ერთდროულად. ეთხოვოს მთავარ კავშირს, რომ ეს ფული ეხლავე გადასცეს კავშირის ფონდიდან და პირველ ჯამაგირიდან გამოერიცხოს. ეს დადგენილება შეეხება თფილისის ყველა კონდუქტორებს.

ს. გელენიძე.

ამ საგანზე რკინის გზელთა ცენტრალურმა გამგეობამ უკვე დასვა კითხვა თავის მორიგ კრებაზე, რომ დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი ფართოდ გადაწყდეს. ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ასეთი ნაბიჯების წინადადება ვინმე რკინის გზელთაგან წამოვიდეს. პირ იქით, ვიმედოვნებთ, რომ როგორც ყოველი გაჭირვების დროს, ისე ახლაც თავის სიმაღლეზე იდგომება და მით მაგალითს მისცემს დემოკრატიის რესპუბლიკისას.

ნ. ბებერი.

რესპუბლიკის ყველა მუშებს და მათ ორგანიზაციებს.

მოულოდნელ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს რესპუბლიკას 19 და 20 თებერვალს, არ შეუძლიან არ მიიპყროს პროლეტარიატის ყურადღება.

მიწის ძვრამ დაანგრია გორი და ახლო მახლო მდებარე სოფლები. ასობით ხალხი დაიღუპა, ათასობით უსახლკარო, მშიერ მწყურვალი დარჩა. გორის სახელოსნოები და ქარხნები განადგურებულია და დარჩენილი მუშები, ვიდრე იშოვნიან სხვა სამუშაოს, შიმშილით ამოწყდებიან. საჭიროა დიდ ძალი თანხა, რომ აღდგენილ იქნას დანგრეული მხარე, რომ შეემსუბუქდეთ ტანჯვა წვალება დაზარალებულთ.

შრომის სამინისტროს ღრმათ სწამს, რომ მუშები, როგორც ავანგარდი დემოკრატიისა, ამ მოულოდნელ უბედურების დროს გამოიჩენენ დაზარალებულებისადმი თანაგრძნობას. მართალია, ამჟამად ეკონომიური მდგომარეობა მუშების, მაგრამ მათ იციან რა არის გაჭირვება და შესძლებენ თავიანთ მცირე ბიუჯეტიდან დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულთ. მათი დახმარება ყველაზე უფრო საგრძნობია უბედურთათვის. მუშები არ უნდა ჩაიყენოს უხერხულ მდგომარეობაში იმ მოვლენამ, რომ მათი წვლილი მცირე იქნება. დაეხმარეთ, რითაც კი შეგიძლიანთ, შრომით, ფულით და სხვ.

მუშათა კავშირები შესძლებენ ამ დახმარების მოწესრიგებას.

შრომის მინისტ. ამხ. ა. ზახტაძე.

შემოწირულებები დაზარალებულთა სასარგებლოთ.

„ერთობის“ რედაქციის კანტორაში შემოიტანეს: ყოფილი ცენტრალური სასურსათო საბჭოს მოსამსახურეთა კავშირმა—10,000 მ., ვასილ ნონიას ძე კორძაიძემ 500 მ., გ. მეგრელიძემ 500 მ., გ. წულაძემ 500 მ., გ. რუხაძემ 1000 მ., არ. ლომთათიძემ 200 მ., გ. ურუშაძემ 200 მანეთი, მიკ. გოგუაძემ 500 მ., ალ. ლორდელმა 200 მ., ალ. ბურთიკაშვილმა 200 მ., დ. გაწერელიამ 200 მან., აკაკი სიგუამ 200 მ., მიხეილ ჩაჩუამ 200 მ., საშა ჩიგოგიძემ 50 მ., ლ. ნათაძემ 100 მ., დ. შარაშიძემ 100 მ., ს. ქქოძემ 200 მ., ქქოძემ 50 მ., ნ. ჩიგიანმა 50 მ., გ. ქუჩიშვილმა 100 მ., ილ. დარახველიძემ 100 მ. სულ 15,150 მ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 თებერვალი

ფრანგული პრესის ცნობები.

ვილჰელმის რეზიდენცია.

ვილჰელმ მეორის მომავალ რეზიდენციის შესახებ გაზეთები სწერენ: ნიდერლანდია, ალბათ შეეცდება ანტანტის წინადადებას და ექს კაიზერს მისცემს შორეულ თავშესაფარს, საიდანაც იგი ევროპის მშვიდობიანობას ვეღარაფერს დააკლებს. ჰოლანდია, ალბათ, ანტილის ერთერთ კუნძულს, მაგალითად კიურასაოს ამოირჩევს.

რომიდან ტოკიოში აეროპლანზე.

რომიდან ტოკიოში მისვლელი აეროპლანები სალონიკიდან სმირნაში მიფრინდა.

უნგრეთის დელეგაცია ლონდონში.

მომავალ კვირაში ლონდონში უნგრეთის დელეგაციის მისვლას ელიან. კონფერენციას იმდენი საქმე აქვს გასაკეთებელი, რომ ამ ერთ თვეში შეიძლება ვერც მოასწროს მისი გაკეთება. ლოიდ ჯორჯი ფიქრობს, რომ კონფერენციის მოუხდება ლონდონში ჯდომა მარტის განმავლობაშიაც.

სერბიის მთავრობა.

ბელგრადიდან იუწყებიან: რადგანაც ვესნიჩმა მთავრობის შედგენა ვერ შესძლო, პრინც რეგენტმა სტოიან პროტიჩს გადასცა მანდატი შესადგენათ კოალიციურ კაბინეტისა, რომელიც დროებით სკუპშტინასთან შესძლებს მუშაობას.

ადრიატიკის საკითხი.

პრეზიდენტმა ვილსონმა საბოლოოდ შეიმუშავა თავისი პასუხი ადრიატიკის საკითხის შესახებ და იგი ლონდონში გაგზავნა.

ზავი უნგრეთთან.

დამატებითი ვადა, რომელიც მისცეს უნგრეთს საზავო ხელშეკრულებისადმი მისი შენიშვნების გადათარგმნისა და დაბეჭდვისათვის, გათავდა პარასკევს დილის 3 საათზე. ამ რვა დღის განმავლობაში ეს წერილი მეტათ გაიზარდა, რადგანაც დღე არ გასულა ისე რომ უნგრეთის დელეგაციას საზავო კონფერენციის სამდივნოში დამატებითი ქაღალდები არ გაეგზავნა.

მოკავშირეთა კონფერენცია.

მოკავშირეთა კონფერენციის მეორე სხდომა მოხდა პარასკევს დილით. დაესწრენ ლოიდ ჯორჯი, ლორდ კერზონი პოლ კამბონი, მილერანი და ნიტი. იმათ განიხილეს დღიურ წესრიგში მყოფი საკითხები. პრესისათვის არაფერი არ უცნობებიათ. „პტი პარიზიენის“ კორესპონდენტს გაუგია, რომ ლაპარაკი ყოფილა ვილსონის ნოტაზე.

უნგრეთის პროტექტორატი.

ბუდაპეშტიდან ვენაში გაგზავნილ დეპეშის თანახმად დამფუძნებელ კრებას უნგრეთის პროტექტორათ ამოურჩევია ხორტი დეუნიზნაცს.

იტალიის პრესის ცნობები.

ადრიატიკის საკითხი და ვილსონი.

ფრანგული პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს, ადრიატიკის საკითხში ვილსონის ჩარევაზე. თითქმის ყველა გაზეთი აკრიტიკებს ვილსონის მოქმედებას. ზოგი იმ აზრის არის რომ ვილსონი საზავო ხელშეკრულების დარღვევას ცდილობს.

ინგლისური პრესის ცნობები.

ოსმალეთი და სომხეთი.

ლოიდ ჯორჯი ქვედა პალატას შეჰპირდა მოხერხებულ დროს ჰპოვებს, რათა პალატამ განიხილოს „ოსმალეთისათვის კონსტანტინოპოლის დატოვებისა“ და კილიკიაში სომხეთის მდგომარეობის საკითხი. პრემიერმა ამას დაუმატა: მთავრობა ამ საკითხებს განსახილველად გადასცემს პალატას მანამდის, სანამ ეს ხელშეკრულება ოსმალეთს გადაეცემოდეს.

ჩერჩილის განცხადება

გუშინ თემთა პალატაში ჩერჩილმა განაცხადა: სამხედრო სამინისტროს აზრით ის სამხედრო ძალები, რომლებიც ეხლა გერმანიას ჰყავს, საკმაო არის მხოლოდ იმისათვის, რომ მან შინაური წესრიგი დაიცვას.

სამრეწველო გამოფენა.

ორშაბათს ლონდონის კრისტალ პალასში გაიხსნა სამრეწველო გამოფენა. მოტანილია რამდენიმე მილიონი გირვანქის საქონელი. მოდიან ისეთი შორეული ქვეყნებიდანაც კი, როგორც არის იაპონია, ინდოეთი, პერუ, რუმინეთი, სიამი, ჩეხო სლოვაკია და სერბია.

ბოლშევიკების ცნობები.

შაქრის ქარხნები.

ხარკოვი. თებ. 12 ხარკოვის გუბერნიაში შაქრის ქარხნებს 2,500,000 დესიატინა მიწა ჰქონდა, ეხლა ქარხნებს მილიონ ნახევარი დესეტინა დაეთმოთ, დანარჩენი კი გლეხებს გადაეცათ იჯარით იმ პირობით, რომ აუცილებლად ჭარხალი დასთესონ. გლეხთა კონფერენცია საბ. მთავრობის მიწის პოლიტიკას მიესალმა. კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია იარაღის აყრა ბრბოებისა, რომელთა შეიარაღებული გამოსვლები ხელს უშლის მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. კონფერენცია თავის თავზე იღებს მოვალეობას, რომ ქალაქის მშიერი ნაწილი და ჯარი გამოკვებოს.

სამხედრო ცნობა.

ხოლმოგორის და არხანგელსკის მიმართულებით უკანასკნელი მტრის დევნა გრძელდება, ჩვენ სადგური ხოლმა გორსკაია ავიღეთ როსტოვთან მკაცრი ბრძოლაა. ნოვოჩერკასკის რაიონში, ბატაისკის აღმოსავლეთით ჩვენმა ცხენოსანმა აღ. პოდპოლნაიას მარჯვენა ნაპირის სოფლებიდან მტერი გამოდევნა და მდ. მანიჩზე სამხრეთ მხარისაკენ დაახევია. ტიხორეცკაიას მიმართულებით სად. ტორგოვაიას სამხრეთ დასავლეთით ბრძოლის დროს მტრის ბრიგადა გავანადგურეთ. ველიკოკნიაჟის სამხრეთ-დასავლეთით 55 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ.

კვირა დღეს მუშაობა.

სმოლენსკი, 20 თებ. სმოლენსკის რკინის გზელებმა მატარებლის შესაკეთებლად მუშათა სამუშაო დღე გაადიდეს და კვირა დღეს მუშაობა შემოიღეს. ყველა სპეციალისტ მუშებს სამუშაო დღე სამი საათით გაადიდეს.

მოსკოვის სოვდეპი.

მოსკოვი. 21 თებ. ქარხნების, ფაბრიკების და წითელ არმიელთა ნაწილებში არჩევნები აღფრთოვანებით სწარმოებს. გუშინდლამდე აირჩიეს 574 დეპუტატი. აქედან 524 კომუნისტია, 18 თანამგრძნობი, 27 უპარტიო და მენშევიკი. მოსკოვის საბჭოს ეხლანდელი შემადგენლობის თავმჯდომარე კამენევი ახალ საბჭოში აირჩიეს. კამენევი ერთ და იმავე დროს ორ რაიონში გავიდა.

იესოს რაზმი.

სარატოვი. 20 თებ. სტავროპოლის სამხრეთით დაარსეს იესოს რაზმი, რომელიც შესდგება 500 ბერისაგან და მღვდლისაგან და 300 სოფლის მოხელისაგან.

ამერიკელების პოლიტიკა.

მოსკოვი. 21 თებერ. „იზვესტიაში“ „ეკონომიური ცხოვრების“ ს სათაურით მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება ევროპაში ამერიკელების პოლიტიკას. ევროპის მხარეზე შეჩნეულია საქონლისა და ძვირფასი ქონების გაყიდვის გახშირება. მათ უცხოელები ყიდულობენ.

მოსკოვი. უკანასკნელ თავის გამოსვლებში ადრიატიკის საკითხის შესახებ, ვილსონი ცდილობს განხეთქილების ჩამოგდებით ინგლისისა და საფრანგეთის, რომ ისინი ამერიკის თვალსაზრისს დაუმორჩილოს. ვილსონის გამოსვლა ღებულობს ამერიკის პირველი იერიშის ხასიათს.

ინგლის-გერმანიის მოლაპარაკება.

ლიონი. 20 თებ. საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში დიდი აღელვება მეფობს გერმანიისა და ინგლისს შორის არა ოფიციალურ მოლაპარაკების გამო.

რუსეთის ლტოლვილები.

ლიონი. 20 თებ. შავი ზღვის რუსეთის ნავთსადგურებში 30,000 ლტოლვილია; ისინი ოსმალეთში გასვლას ნებართვას მოელიან, პრინცების 4 კუნძულზე მათთვის ბინებს ამზადებენ.

რუსეთ ესტონეთის ზავი.

მოსკოვი. 22—2 საბ. რუსეთისა და ესტონეთის ზავის თანახმად მალე დაიწყება სავაჭრო დამოკიდებულება. ესტონიაში კოოპერატივთა კავშირის საგანგებო კომისია წავიდა გაუკოვსკის მეთაურობით.

ზავი რუსეთთან.

ბერლინი. 21 თებ. „ფორვერტს“-ი და „ბერლინერ ტაგებლატი“ აღნიშნავენ, რომ მოკავშირეთა ანტი ბოლშევიკური პოლიტიკას გერმანია მხარს არ დაუჭერს. აუცილებელია ზავის შეკვრა საბჭოთა რუსეთთან შემდეგ საფუძველზე: არ ჩაერიონ ერთი მეორის შინაურ საქმეებში და აღადგინონ სავაჭრო დამოკიდებულება. გერმანიამ ისეთივე პოლიტიკა უნდა აწარმოოს რუსეთთან, როგორც სხვა რომელიმე დემოკრატიულ ან სოციალისტურ სახელმწიფოსთან. ეს პოლიტიკა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმა, თუ იმ მმართველობაზე.

სამხრეთის ფრონტზე

მოსკოვი. 22 თებ. სამხრეთ ფრონტზე თეთრგვარდიელთა შეტევის გამო „პრავდა“ სწერს: როდესაც მშრომელთა არმიის საკითხს შევეხეთ ვიხილავდით, ერთ ერთ არგუმენტათ გვქონდა ის, რომ ჩვენ მეტისმეტი სამხედრო მდგომარეობა გვაქვს ჩვენ დავამარცხეთ მეამბოხეები და გენერლები, მაგრამ სამხრეთში ამას ვერ მივაღწიეთ და ამიტომ ეხლა დემობილიზაციის მოთხოვა შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასის საშინელ მტერს. ჩვენ ბრძოლისათვის მზად უნდა ვიყოთ, სანამ ჩვენი მტერი არ განადგურებულა. ამის საუკეთესო მაჩვენებელია სამხრეთის და როსტოვის მიმართულების ამბები. მტერი სულ გვიტევს. ჩვენი მხრით საჭიროა ძალთა კონცენტრაცია, გადამწყვეტი ბრძოლა რომ ძირიანათ აღიკვეთოს ტეტულიანი ბოროტმოქმედნი.

უკრაინის საბჭოთა მთავრობის რადიო.

უკრაინის ც. ა. კ. თავმჯდომარემ და სახ. კომ საბჭომ ყველა ქვეყნებ და მთავრობებს რადიო დეპეშით მიმართა, სადაც ნათქვამია: ბედის განთავისუფლებით უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორია დიდ მანძილზე გაიწმინდა თეთრგვარდიელთა ჯარისა და პეტლიურას ბრბოებისაგან. ახალმა მთავრობამ, რომელიც შემდგარია უკრაინის ბოლშევიკ კომუნისტებისაგან, უკრაინის კომუნისტური პარტიის „ბორობისტებისაგან“ და უკრაინის მემარცხენე ესერებისაგან, დაადგინა 5 აპრილისათვის უკრაინის საბჭოთა მე 4 ყრილობა მოიწვიოს. უკრაინის მთავრობა იმავე დროს აცხადებს თავისი მტკიცე გადაწყვეტილების შესახებ, რათა დამოკიდებულება საბჭოთა უკრაინის დაიცვას და რომ იგი იცხოვრებს მეგობრულ განწყობილებაში მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხთან. უკრაინის მთავრობა განსაკუთრებით ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა პოლონეთთან ზავის შეკვრა რუსეთის რესპუბლიკის 2 თებ. განცხადების თანახმად.

ახალი ამბები

მიწის ძვრა ახალ სენაკში. თებერვლის 20-ს დილის სრულ 1 საათზე მიწის ძვრა მოხდა, განმეორდა ზედიზედ ორჯერ. მეორე უფრო მძლავრი იყო, გაგრძელდა ხუთ წამამდე. იმავე დღის ნაშუადღევს სამ საათზე მიწის ძვრა განმეორდა, ისეც მძლავრი იყო. გაგრძელდა ხუთ წამს.

— ოთხშაბათს, 25 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში თფილისის კომიტეტი მართავს შეერთებულ სხდომას პირველ და მეორე რაიონის წევრებისას, სადაც ამხ. ნოე რამიშვილი წაიკითხავს მოხსენებას პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალური რევოლუციის შესახებ.

— **შემოწირულება.** ინგლისის ფირმამ „კოსმოსი“-ს გამგე ბერიძემ, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შესწირა 500 000 მანეთი.

— **შეწირულებები გორში მომხდარ მიწის ძვრიდან** დაზარალებულთა სასარგებლოთ მიიღება შემდეგ ადგილებში: მთავრობის საქმეთა სამმართველოში (თფილისი, ყოფილი კადეტთა კორპუსი), სავაჭრო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებში, ქალაქთა კავშირში, ქ. თფ. თვითმართველობაში და ივ. გომართელთან (ანისტასის ქ. № 21). ნივთებით შეწირულება მიიღება ქალაქთა კავშირის საწყობში (მელიქის ქ. № 48) და რუსთაველის პროსპექტზე ქალაქის შენობაში (ყოფილი საზოგადოებრივი კლუბი).

— **ტრამვაის მეპატრონეთა** ურთიერთ დახმარე კომიტეტი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოწირულებას აგროვებს თავის წევრებს შორის შემდეგ ადგილებში: 1 უბნის, ვაკის და საბურთალოს ტრამვ. პარტიონებმა შემოწირ. უნდა შეიტანონ ნ. მაჩაბელთან (ოლღას ქ. № 14). 2, 3, 4 უბ. ნ. ენუქიძესთან (არმ. ქ. 23), მე 5 უბნისებმა ერასტი კიდილიძესთან (სემ-სარქისის „ირაკლის“ აბანოს გვერდით). მე 6, 7, 8 უბნის ტრამვ. პარტ. გ. ა. დავითაშვილთან (ავლაბარი, მთავარ-ანგელოზის ქუჩა 2), მე 9, 10, 11 და 12 უბნ. ვ. ი. ბულიშვილთან (დამოუნის ქუჩა 6).

კრებები

ოთხშაბათს, 25 თებერვალს დილის სამ საათზე, ალექსანდროვის ბაღის ბინაზე დანიშნულია ს. ს.-დ. მეხუთე რაიონის საერთო წევრთა წლიური კრება. სასურველია ყველა ამხანაგების დასწრება.

— 24 თებერვალს საღ. 5-საათ. მუშტაიდის კლუბში დანიშნულია ს. ს. დ. მუშ. პარ. პირველ რაიონულ ორგანოს. 17 თებერვლის საერთო კრების გაგრძელება კოლექტივის ახალი წევრების ასარჩევათ. კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ყველა სამხედრო ვალდებულთათვის საყურადღებოდ.

ყოველი სამხედრო ვალდებული უნდა აღრიცხული იქნას ქ. თფილისის საკომისარიატოებში. შენიშნულია, რომ ბევრნი აქამდე არსად არ არიან აღრიცხულნი. ვალდებულთა აღრიცხვის საქმის მოსაწესრიგებლათ, ყველა სამხედრო ვალდებულნი, რომელნიც დროებით ან მუდმივ თფილისში ცხოვრობენ და დაბადებულან 1875 წლიდან დაწყებული 1899 წლამდე, მაგალითად:

1) სათადარიგო ჯარის კაცები,
2) მოლაშქრენი (ლურჯ-ბილეთიანები),
3) თეთრ ბილეთიანნი,
4) ავათმყოფობისა გამო დათხოვნილნი სხვა და სხვა ვადით,
5) სრულიად დათხოვნილნი სამსახურიდან ოჯახური გარემოებით, როგორც ერთად ერთი მარჩენალნი ოჯახისა.
6) სრულიად დათხოვნილნი სამსახურიდან ავათმყოფობისა გამო,
7) სამსახურიდან განთავისუფლებულნი, როგორც უცხო ქვეშევრდომნი, შეტანილნი გასაწვევ სიებში,
8) დროებით განთავისუფლებულნი ჯარში გაწვევისაგან, როგორც რუსის მოქალაქენი.
9) დროებით განთავისუფლებულნი, როგორც მოსწავლენი საშუალო სასწავლებელში,
10) დროებით განთავისუფლებულნი, როგორც სამართალში მიცემულნი,
11) დროებით განთავისუფლებულნი ავადმყოფობით.

—უნდა გამოცხადდნენ იმ კომისარიატებში, სადაც სცხოვრობენ, სიებში აღსარიცხავად—და უნდა წარადგინონ ერთ-ერთი ქვემო ნაჩვენები საბუთები:

ა) მეტრიკული მოწმობა,
ბ) პასპორტი,
გ) მოწმობა გასაწვევ უბანში მიწერაზე,
დ) ნამსახურებითი ფურცელი,
ე) ნამსახურებითი სია,
ვ) სამსახურიდან დათხოვნის ბილეთები,
ზ) მოწმობები ლაშქარში ჩარიცხვაზე ან როგორც თეთრ ბილეთიანებისათვის,
თ) მოწმობა სამსახურიდან სრულიად დათხოვნილთ ავადმყოფობით, ან დროებით დათხოვნილთ ავადმყოფობით რამდენიმე თვით,
ი) კონსულის მოწმობები ქვეშევრდომობაზე ან სამხედრო აღრიცხვის ნაწილის მოწმობები სამსახურიდან დროებით განთავისუფლებაზე, როგორც რუს-მოქალაქეთ,
კ) სასამართლოს მოწმობა სამართალში მიცემაზე,

გამოცხადება ევალებათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც ჯარი ფიცრობა არ მიუღიათ, განურჩევლად იმისა, აქვთ თუ არა რაიმე საბუთი სამხედრო სამსახურის შესახებ.

დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა და არა უგვიანეს მდგომარე თებერვლის 28 სა უნდა გამოცხადდენ თავიანთ კომისარიატებში დილის 10 საათიდან.

თფ. ქალაქის გამგეობა.

ერობის ტექნიკურ ძალთა ყრილობა

16 ამა თვეს გაიხსნა ერობათა ტექნიკურ ძალთა ყრილობა, გარდა ინჟინერ-ტექნიკოსთა, ყრილობაზე არიან ჩამოსულნი ზოგიერთ ერობის გამგეობის წევრნიც.

მიზანი ყრილობისა არის ზოგიერთ ტექნიკურ კითხვების გაშუქება, გამორკვევა და მასთანვე აზრის იმ მიზეზებისა, რომელიც ეღობებათ მათ წინ ამდგომლებზე მუშაობის დროს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერობებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ განვითარებაში და სახალხო მეურნეობის აყვავებაში, ამას მტკიცება არ სჭირია; მაგრამ სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს ერობებისაგან უფრო სხვა მუშაობას, შექმნილ საერთო კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლას და უმთავრესათ შიმშილის განელებას. და მართალიც, ჩვენ ვხედავთ, რომ ერობების მთელი ენერგია აქეთკენ არის მიმართული. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არის დროებითი მოვლენა, საერთაშორისო ომიანობის შედეგი და როგორც კი შეიქმნება ნორმალური პირობები, ერობები შესდგებიან საკუთარ გზაზე თავის ბიუჯეტის და მდგომარეობის განსამტკიცებლათ.

სახელმწიფო, როგორც პატარა არ უნდა იყოს, თუ იგი განვითარებულია ტექნიკურათ, მაშინ იგი ეკონომიურათაც და კულტურულათაც ძლიერია. ავიღოთ ევროპის ბევრი პატარა სახელმწიფოები, როგორიც არიან სკანდინავიის სახელმწიფოები და სხვა, რომელთა ინდუსტრია უმაღლეს განვითარებამდეა მისული. მათი ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა არ ჩამოუვარდება დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, ნაყოფია მათ ტექნიკის განვითარებისა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი სახელმწიფოს ბუნებრივ სიმდიდრეს და მის გეოგრაფიულ მდგომარეობას, ტექნიკის განვითარებას ჩვენი ქვეყნისთვის ექნება უდიდესი მნიშვნელობა მისი ეკონომიური და კულტურული სიმდიდრის შექმნაში; აგრეთვე სახალხო მეურნეობის განვითარებაში და წარმოების აყვავებაში ტექნიკა ითამაშებს უდიდეს როლს, რაც დააყენებს ჩვენს სახელმწიფოს ფეხზე.

მარტო თეთრი ნახშირის სათანადოთ გამოყენება, რომელიც ჩვენ სახელმწიფოში სამ მილიონ ცხენის ძალას აღწევს, მოგვცემს საშუალებას ფართოდ განვავითაროთ ჩვენი ინდუსტრია და შევქმნათ იაფი ტრანსპორტი ელექტრონის რკინის გზების სახით. ამის მაგალითს იძლევა შვეცია — ნორვეგია. თეთრ ნახშირის საშუალებით მათ შექმნეს ძლიერი ინდუსტრია, მიუხედავათ იმისა, რომ სხვა ბუნებრივი სიმდიდრეს მოკლებული არიან.

ერობების უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ყოველივე ამას მიაქციოს ყურადღება და ტექნიკის განვითარებას მისცეს სათანადო გზა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა ჯერჯერობით ხელს არ უწყობს ამას, მაგრამ, თუ ერობები შესდგებიან ამ გზაზე, ახლავე შესძლებენ სწორი საძირკველი გასჭრან მომავალ სახელმწიფო შენობის ასაგებათ.

ერობები დიდ ნაკლს განიცდიან ტექნიკურ ძალთა შოვნაში, ამ მხრივ ბევრ ერობების მდგომარეობა უიმედოა, მათ უბრალო ტექნიკოსებიც არ მოეძებნებათ. მასთანავე ზოგიერთ ერობებს გამგეობაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ტექნიკურ განყოფილებას და რადაც ზედმეტ ბარგათ მიაჩნია, უნდა ითქვას, რომ ეს დიდი შეცდომა აზრია. თუ ერობების ტექნიკური განყოფილება თავის სიმაღლეზე სდგას, მაშინ ერობის მთელი ბიუჯეტის სიმძიმე ამ განყოფილების ნაყოფიერ მუშაობაზე იქნება დაყრდნობილი. ამასთანავე სახელმწიფოს ეკონომიური კეთილდღეობა ძალზე დამოკიდებულია ერობათა ამ განყოფილებების ნაყოფიერ მუშაობაზე.

რაც შეეხება ტექნიკურ ძალთა ნაკლულოვანებას, ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ერობათა ცენტრმა: ამასთანავე ქართულმა ტექნიკურმა საზოგადოებამ უნდა გაბას კავშირი ერობათა ტექნიკურ ძალებთან და საერთო შეერთებულ მუშაობით დაფარონ ეს ნაკლი. ქართული ტექნიკური საზოგადოება უნდა გადაკეთდეს საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებათ. აწარმოოს უმთავრესათ აკადემიური მუშაობა და თავის ირგვლივ შემოიკრიბოს ერობათა ტექნიკური ძალები.

უმაღლესმა მთავრობამ კი ახლავე უნდა იზრუნოს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლის დაარსებაზე, რომ მისცეს ერობებს მცოდნე პირები.

დასასრულ ყრილობამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ნაკლს, რომელსაც ერობები განიცდიან ერთი მხრივ საბიუჯეტო უფლების უქონლობის გამო, რაც ტექნიკურ განყოფილებებს არ აძლევს საშუალებას ფართო მუშაობის წარმოებაში და მეორეს მხრივ საერთო წარმოების შემუშავებას, კანონ-მდებლობის სახით, რათა მიეცეს ერობებს უფლება საგზაო ბეგარის შემოღებისა და ისეთი ამხანაგობების დაარსების, რომელთაც ძალდატანებითი ხასიათი ექნება საზოგადო საქმის შესრულების დროს.

თუ ყრილობამ ყველა ამას გასცა პასუხი, მისი მუშაობა უნდა ნაყოფიერად ჩაითვალოს.

ზ. ბიბაშვილი.

უცხოეთი

აზერბეიჯანი.

აზერბეიჯანის სოც-დემ. პარტია. რ. ს. დ. მ. პ. ბაქოს ორგანიზაციის უკანასკნელმა კონფერენციამ ორგანიზაციულ საკითხის განხილვის შემდეგ ასეთი დადგენილება გამოიტანა: 2) აზერბეიჯანის რესპუბლიკის დაარსება მუშათა დემოკრატიის წინაშე ახალ, განსაკუთრებულ პოლიტიკურ მიზნებს აყენებს; ამიტომ აქ უნდა დაარსებულ იქნეს დამოუკიდებელი აზერბეიჯანის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია; 3) გამოითქვას სურვილი, რათა ასეთ პარტიას დაარსების შემდეგ მიღებულ იქნეს ზომები ერთგვარ ცენტრის შესაქმნელათ ამიერ-კავკასიის ფარგლებში, რათა დამყარებულ იქნას ძმური კავშირი სოციალ დემოკრატიულ პარტიებთან ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე დაარსებულ ახალ სახელმწიფოებში; რათა აზერბეიჯანის ს.-დ. პარტია შევიდეს ინტერნაციონალში, როგორც დამოუკიდებელი მუშათა რაზმი; 3) კონფერენცია აუცილებელ საჭიროებათ სთვლის შევიდეს რ. ს.-დ. მ. პ. ბაქოს ორგანიზაცია აზერბეიჯანის ს.-დ. მუშათა პარტიაში; ამასთანავე ხელშეუხებელი რჩება ნაციონალური სექციები

და ორგანიზაციას უფლება ექნება შექმნას ახალი ნაციონალური სექციები; 4) სანამ აღდერბეიჯანის ს. დ. მუშათა პარტიის ყრილობა მოხდებოდეს და მოეწყობოდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი,—კონფერენცია გზავნის 5—6 თავის წარმომადგენელს აღერბ. ს.-დ. პარტიის არსებულ ცენტრალურ კომიტეტში; 5) ასეთი წესით შევსებული ცენ. კომიტეტი აირჩევს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს (პრეზიდიუმი, სარედაქციო კოლეგია).

ყველა აღნიშნულ პუნქტებში რ. ს.-დ. მ. პ. ბაქოს ორგანიზაციასა და აღდერბეიჯანის ს.-დ. მუშათა პარტიის შორის სრული თანხმობა არსებობს.

ამერიკა.

შეერთებული შტატები რუსეთთან ვაჭრობის შესახებ. გაზ. „ნიუ იორკ ჰეროლდს" ვაშინგტონიდან ატყობინებენ, რომ შეერთებულ შტატების მთავრობა თანახმაა სავაჭრო დამოკიდებულება დაიჭიროს რუსეთთან, მხოლოდ იმ შეუცვლელ პირობით, რომ ამით საჭირო არ იქნება ბოლშევიკების ცნობა და ის საქონელი, რომელიც რუსეთში იქნება შეტანილი, მოსკოვის მთავრობას არ ჩაუვარდება ხელში. გაზ. „ჩიკ. ტრიბ"-ს ატყობინებენ, რომ ვაშინგტონში დაარსდა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რა პირობებში შეიძლება რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენა. კომიტეტში შედიან ამერიკის მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელნი.

პროფესიონალურ კავშირებში

ლითონზე მომუშავეთა კავშირში.

ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობამ შეიმუშავა შემდეგი ინსტრუქცია უმუშევართათვის.

1) დახმარება უნდა აღმოეჩინოს უმუშევრობის დროს მხოლოდ იმ წევრებს, რომელთაც დაკარგეს სამუშაო არა თავისი მიზეზით, შეიტანეს საწევრო და სხვა გადასახადები თავის დროზე და ითვლებოდნენ კავშირში წევრებათ უმუშევრობამდე არა ნაკლებ სამი თვისა.

შენიშვნა: განსაკუთრებულ პირობებში, პრეზიდიუმის დადგენილებით გამგეობას აქვს უფლება აღმოუჩინოს დახმარება იმ უმუშევარ ამხანაგს, რომელიც სხვა ქალაქიდან არის ჩამოსული და აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელიც აღნიშნულია ინსტრუქციის პირველ მუხლში და ამასთანავე წარადგენს საწევრო წიგნაკს.

2) განსაკუთრებულ პირობებში დახმარება შეიძლება აღმოეჩინოს იმ უმუშევრებსაც, რომლებიც არ აკმაყოფილებენ პირველ მუხლის აღნიშნულ პირობებს და შეიძლება არც იყვნენ კავშირის წევრები.

3) უმუშევრები იყოფიან სამ კატეგორიად:

ა) ცოლშვილიანი და უცოლშვილო, რომელთა ოჯახის წევრებიც მუშაობენ.

ბ) ცოლშვილიანი და უცოლშვილონი, რომლებიც არჩენენ 1, 2 ან სამ შრომის უნარ მოკლებულ ოჯახის წევრებს.

გ) ცოლშვილიანი და უცოლშვილონი, რომლებსაც უხდებათ არჩენა სამზე მეტ ოჯახის წევრებისა.

4) დახმარება ეძლევა მუშას შვიდი დღის შემდეგ დღიდან რეგისტრაციის. დახმარება შეიძლება აღმოეჩინოს 6 კვირის განმავლობაში და წელიწადში არა უმეტეს 10 კვირის.

5) რაოდენობა დახმარებისა იქნება თვის ჯამაგირის 5 პროცენტი კვირაში ეს იქნება პირველი ჯგუფისათვის, მე-2 ჯგუფი მიიღებს 8 პროცენტს. მე-3 10 პროცენტს.

6) უმუშევრებს, რომლებსაც დათხოვნის დროს სალიკვიდაციო, ან სხვა რამ ისეთი თანხა აქვთ მიღებული რაც მათ მიერ ჯამაგირში არ შედის, ნება აქვთ კავშირის კასიდან მიიღონ დახმარება იმოდენა დროს გასვლის შემდეგ, რომლისათვისაც მის მიერ მიღებული თანხა შეფარდებრივ ხელფასს უდრის.

7) უმუშევრები, რომლებიც მიისწრაფიან თბილისიდან წასვლას მიიღებენ მე-3 კლასის ბილეთის ფასს, მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 500 ვერს მიიღებს აგრეთვე ორი კვირის საჭირო სახარჯოს. საკითხი ფულის მიცემის შესახებ ირჩევა პრეზიდიუმში და ბილეთის ფული ეძლევათ მხოლოდ კავშირის წევრებს და არა მათ ოჯახებს.

8) თუ უმუშევარი არა საპატიო მიზეზით უარს განაცხადებს სამუშაოზე, რომელსაც მას შრომის ბირჟა ან კავშირი აღმოუჩენს — ის კარგავს უფლებას მიიღოს დახმარება.

9) უმუშევარი დაჰკარგავს რა სამუშაოს უნდა განაცხადოს ბიუროში, სადაც მას ჩააწერენ ამასთანავე მან უნდა წარადგინოს ის დოკუმენტები, რომელიც მიიღო ანგარიშის გასწორების დროს.

10) ის უმუშევრები, რომლებიც მიიღებენ დახმარებას, ვალდებულ არიან გამოცხადდნენ კავშირში კვირაში სამჯერ 10—11 საათამდე და ხელი უნდა აწერონ უმუშევართა წიგნში.

შენიშვნა: განსაკუთრებულ პირობებში, გამგეობის პრეზიდიუმს უფლება აქვს გაანთავისუფლოს უმუშევარი მე-10 მუხლში აღნიშნულ მოვალეობისაგან.

11) თუ უმუშევრობის დროს, მუშა იშოვნის დროებითი სამუშაოს, ის ვალდებულია აცნობოს კავშირს და იმისდა მიხედვით, როგორია სამუშაო შეიძლება მას დროებით მოესპოს დახმარება, ანდა შეუმცირდეს.

შენიშვნა: ის უმუშევარი რომელიც დაარღვევს მე-11 მუხლში აღნიშნულ პირობას, ჰკარგავს უფლებას მიიღოს დახმარება.

12) უმუშევრები სამუშაოს იღებენ მხოლოდ კავშირის საშუალებით, და ემორჩილებიან იმ პირობებს, რომელიც აღნიშნულია კოლექტიურ ხელშეკრულებაში.

საზოგადოება „კავკასიის" კავშირი

ეს საზოგადოება ცდილობს მიიზიდოს წევრები დემოკრატიული წრეებიდან, განსაკუთრებით კი მუშებიდან. 14 თებერვალს უკვე შესდგა ამ საზოგადოების ავლაბრის რაიონის წევრების კრება, რომელსაც დაესწრო 11 სხვადასხვა მუშური ორგანიზაციის წარმომადგენელნი, სულ 75 სულამდე. არჩეულ იქნა რაიონული გამგეობა 11 კაცისაგან შემდგარი ასეთივე ნაბიჯების გადადგმას ცდილობენ ქალაქის სხვა რაიონებშიც. ქ. თბილისის პროფესიონალურ საბჭომ თავის 20 თებერვლის სხდომაზე გამოსთქვა სურვილი ყველა პროფესიონალურ კავშირების მიერ მხურვალე მონაწილეობის მიღებისა, როგორც ფრიად დემოკრატიულ ორგანიზაციის საზოგადოებაში. საზოგადოებამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები ქ. თბილისის ბავშვების დამხმარე საზოგადოებათა და დაწესებულებათა კავშირის დასაარსებლად. პირველი სხდომა ამ კავშირისა უკვე შესდგა. „კავკასიის" კავშირის საბავშო თავშესაფარში უკვე 17 ბავშვია. საზოგადოების გამგეობამ განიხილა თბილისის ქუჩებიდან ბავშვების აკრეფის საკითხი და მიიღო მთელი რიგი წინასწარი ზომებისა ამ მიზნის მისაღწევად.

მორიგი სხდომები ამ საზოგადოების გამგეობისა დანიშნულია ოთხშაბათობით, საღამოს 6 საათზე, ქალაქის თვითმართველობის შენობაში, შრომისა და სოციალური დახმარების განყოფილებაში (განოვის ქ. № 6), რომლებზედაც დასწრება შეუძლიან ყველა მსურველს მუშაობაში მონაწილეობის მიღებისა. იქვე იძლევა ყოველგვარი ცნობა ხსენებულ საზოგადოების საქმეების შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფში

ღია წერილი ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობას.

1919 წლის ნოემბრის 27, ფოთის ფოსტა-ტელ. მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის სარაიონო გამგეობამ გადაუგზავნა თბილისში ცენტრალურ გამგეობის კოოპერატივ „ნუკეშს" 3000 მ. და სთხოვა გამოეგზავნა გამგეობის თავმჯდომარის მიერ დაკვეთილი საქონელი, მოსამსახურეთათვის დასარიგებლად, მაგრამ დღემდის არავითარი საქონელი არ მიგვიღია და რაც უფრო გასაკვირია, მრავალ ამის შესახებ ცენტრალურ გამგეობასადმი შეკითხვებზე პასუხს ვერ ვღირსებით; არ ვიცით რითი სურს იმართლოს თავი ც. გამგეობამ. თუ მას არ სურდა ფოთის მოსამსახურეთათვის, როგორც ოპოზიციონერებისათვის, გამოეგზავნა საქონელი, მაშინ ის ვალდებული იყო ფული მაინც დაებრუნებინა, რაც არა ერთხელ იყო მოთხოვნილი რასაკვირველია, ჩვენ იმას არ დავიჯერებთ, რომ ადმინისტრაციის შეშლის ხელი მისთვის ამ შემთხვევაში, როგორც ეს ჩვეულებათ აქვს ც. გამგეობას ყოველივე თავისი დანაშაული ოლქის ადმინისტრაციას მოახვიოს თავზე და მით თავი იმართლოს ასეთი საქციელი ბადებს მოსამსახურეთა შორის უნდობლობას კავშირისადმი; და რაც სამწუხაროა, არა მარტო არსებულ ცენტრალურ გამგეობისადმი, რომელიც დიდი ხანია მოკლებულია ნდობას, არამედ ყოველგვარ კავშირისადმი, და ამას მიაღწია ც. გამგეობის უტაქტო მოქმედებამ. ცენტრალურმა გამგეობამ კარგათ იცოდა, რომ ის 3000 მ. იყო შეგროვილი მოსამსახურეთა შორის და ამ პატარა თანხის ჩქარი ბრუნვით სარაიონო გამგეობა ცდილობდა მოსამსახურეთათვის მიეწოდებინა შეძლებისდაგვარად საჭირო წვრილმანი საქონელი. ჩვენ ამ წერილში არ გვსურს გავიმეოროთ ის, რაც არა ერთხელ ითქმულა გაზეთის ფურცლებზე ც. გამგეობის მოღვაწეობის შესახებ, რადგან ფოსტა-ტელეგრაფის დემოკრატია სათანადოთ დააფასებს მის მოღვაწეობას და შორს არ არის ის დრო, როდესაც ბოლო მოეღება ჩვენს კავშირში უსარგებლო პირთა თარეშს, მაგრამ ეს ერთი შემთხვევა იმდენათ დამახასიათებელია მათი მოღვაწეობისა, რომ არ შეიძლება მას ხაზი არ გაუსვათ და არ დავადასტუროთ ის აზრი, რომელიც დიდი ხანია გამოითქვა დღევანდელ ც. გამგეობაზე, სახელდობრ, რომ ცენტრალური გამგეობა აწარმოებს მხოლოდ პარტიულ პოლიტიკას და მოსამსახურეთა ცუდი პირობები სრულიად არ აინტერესებს და გართულია მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენლებთან ბრძოლაში. მოვითხოვთ გამგეობისაგან დაუყოვნებლივ დაუბრუნოს რაიონულ გამგეობას 3000 მან. და დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა ერთი კვირის განმავლობაში გვიპასუხოს პრესის საშუალებით მიზეზი საქონლის გამოუგზავნელობის და ჩვენ შეკითხვებზე უპასუხობის. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მივმართოთ სასამართლოს და მით გავფანტოთ მოსამსახურეთა შორის ის შეხედულება კავშირზე, რომელიც ზემოაღნიშნულ საქციელმა გამოიწვია.

სარაიონო გამგეობის თავმჯდომარე: არ. შოთაძე
თავმჯდომარის ამხანაგი ხახარულიძე
მდივანი ა. ხელაძე.

ს.-დ. პარტიაში

თბილისი. 19 თებერვალს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ რეგლამენტი მცირეოდენი შესწორებით კრებამ დაამტკიცა. ამხ. ს. თევზაძის მოხსენება ცენტრიდან მიღებულ იქნა მხედველობაში როგორც მცირე კოლექტივების წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა პარტიული მუშაობა ადგილობრივ ჩვეულებრივ მიმდინარეობს.

სოხუმის სექციის წარმომადგენელი აცნობს კრებამ, რომ იქ ყოველგვარი მუშაობა თანდათან სუსტდება და საჭიროა მუშაობის გასაძლიერებლათ კოლექტივმა ხსენებულ სექციაში გაგზავნოს ერთი წარმომადგენელი. კრება ამ წინადადებას ღებულობს და თავის წარმომადგენლათ გზავნის ამხ. ბაქრაძეს და ავალებს მცირე კოლექტივებს მათაც გაგზავნონ სოხუმ. სექც. თითო წარმომადგენელი.

ფინანსიურ და კულტურულ განმანათლებელ კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. ა. ღლონტი, ც. დარახველიძე, ი. გოგელია, შ. გომართელი, მ. ქაჯაია, ს. ქიტიაშვილი, მიხაილოვი. საორგანიზაციო კომისიაში პრეზიდიუმის წევრებით ნ ერთად შედიან ამხ. შ. ტყოროშვილი და ს. თევზაძე.

დაუძლურებულ და მოხუც პარტიის წევრებისათვის დამხმარე ფონდის შექმნის შესახებ კრება ადგენს, ეს საკითხი წინასწარ განსახილველათ გადაეცეს თბილისის კომიტეტს.

თედ. ხუხუნაიშვილი

—

თბილისი. 19 თებერვალს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტიის მესამე რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა, რომელსაც დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. ვარდოიანი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენებები, 2) პარტიული მუშაობა. თბილისის კომიტეტიდან მოხსენება არ ყოფილა. ადგილობრივი მოხსენება კოლექტივმა მოისმინა ამხ. ანდ. ვაშაკიძის პირით, რომელმაც კოლექტივს აცნობა არამიანცის საავადმყოფოს „იაჩეიკის" ახალი არჩევნების შედეგი და ახალი შემადგენლობა იაჩეიკისა.

კოლექტივმა მოისმინა მოხსენება ამხ. ვარდოიანისა, რომელმაც ვრცლად გააშუქა დღევანდელი მდგომარეობა და მოუწოდა ამხანაგებს მუშაობისკენ, უმეტესად სომხის დემოკრატიაში, სადაც ყველა მავნე ელემენტებს საშუალება ეძლევათ ფართოთ იმოქმედონ. კოლექტივმა გადასწყვიტა სომხურ სექციასთან იქონიოს მჭიდრო კავშირი და განახორციელოს პარტიული მუშაობა.

ავლაბრის რაიონის პარტიულ მუშაობის შესახებ კოლექტივმა წინადადება მისცა არსებულ „იაჩეიკის" წარმომადგენლებს" რათა ყოველთვის მათ დაესწრონ სხდომებს. განსაკუთრებით წინადადება ეძლევა არამიანცის ახლად არჩეულ იაჩეიკას, რომლის წარმომადგენელიც არ დაესწრებიან სხდომას, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი მიმართავს სხვა ზომებს.

ვერხვი.

—

ცემ. 25 იანვარს შესდგა ცემის ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის მორიგი კრება ამხ. იეგნე მგელაძის თავმჯდომარეობით. განსარჩევი იყო: 1) ახალი წევრების მიღება; 2) თავმჯდომარის ამხანაგის მიხეილ ტაბატაძის გამოცვლა და პარტიიდანაც გაძევება; 3) ძლიერისაგან ანგარიშის მოთხოვნა; 4) სავაჭრო ვაგონის მიმოსვლის შეწყვეტა ბაკურიანის ლინიაზე.

პარტიაში ჩაირიცხენ შემდეგი ახალი წევრები: მიხეილ ნოზაძე, გრიგოლ მაჭავარიანი, თედორე ტაბატაძე, ნიკოლოზ ორაშვილი და გიორგი ქემერიძე.

მეორე საკითხის შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: თავმჯდომარის ამხანაგი მიხეილ ტაბატაძე გადაყენებულ იქნა პარტიიდან და მის ალაგას არჩეულ იქნა რაჟდენ ანდრიას ძე მგელაძე.

შემდეგ კრებამ მოისმინა თავმჯდომარის განცხადება იმის შესახებ, რომ მდივანი ვერ ასწრებს საქმეების წარმოებას ორგანიზაციაში. კრებამ დაადგინა: მდივანს,—ხეჩიას დაენიშნოს თანაშემწეთ ნიკოლოზ ანაშიძე.

მეოთხე საკითხი მოისმინა და გადადვა განსახილველათ რკინის გზელთა კრებას, რომელიც 1 თებერვლისათვის იყო დანიშნული.

დასასრულ მოსმენილ იქნა გრიგოლ კალენჯერიძის მოხსენება საქართველოს მდგომარეობის შესახებ, რითაც კრება კმაყოფილი დარჩა.

მდივანი ხეჩია.

მუშათა შორის

თბილისი. დღევანდელი აუწერელი ჩვენი მდგომარეობა (უმეტესად მუშებისა)—რაიც გამოიხატება სურსათის უქონლობაში, უმთავრესად კი პურისა, გვაიძულებს ყველას დემოკრატს, გულწრფელ ადამიანს და ერთგულს დღევანდელი სახელმწიფოებრივ წესწყობილებისას, ვიფიქროთ და გამოვნახოთ საერთო ძალით, თუნდაც [illegible] შემამსუბუქებელი გზა, ამ ცუდმდგომარეობიდან გამოსასვლელად. ჯერ კიდევ 1919 წ. ზაფხულში მე შევიტანე საკითხი დეპოს და მთავარ სახელოსნოს პროფესიონალურ კავშირის რაიონულ გამგეობაში, რკინის გზის სახელოსნოში, სამეურნეო განყოფილების გახსნის შესახებ. ამ საკითხზე გამგეობაში იქონია მსჯელობა, მოიწონა ეს აზრი და თავისი დადგენილება აცნობა ცენტრალურ კომიტეტს. როგორც გავიგე, ც. კ. დადგენილება დაადასტურებინა. ამის შემდეგ მე წავიკითხე „თავისუფალ გზაში", რომ რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა, აიღოს თავის ხელში სამეურნეო [illegible] ნაწარმოები და სოფლებში გავრცელოს პურზე გადაცვლის სახით.

პირველათ მე მეჩოთირა ეს ამბავი და მომაგონდა ქვეყნიური თქმულება „ღვინო არსად იყო, ტიკებს ბერავდნენ", მაგრამ ბოლოს მაინც დავიჯერე, რადგან ეს არც ისე ძნელი საქმე იყო და ტკბილმა ოცნებამ გაიღვიძა ჩემში, ვიფიქრე: მეთქი ჩვენი მდგომარეობა ცოტათ შეგვიმსუბუქდებათქო, ვინაიდან სოფლელები მიაწვდიან იმათთვის საჭირო იარაღებს და ისინიც დიდი სიამოვნებით მოგვცემენ პურს. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ, ეს ჩემი ტკბილი გრძნობები, პირიქით ოცნებანი გამომეცვალნენ, რადგან ამ მხრივ ჯერაც არაფერი გაკეთებულა. მრწამს რა, რომ დადგენილება ამ საქმის დიდი დანიშნული იქნება ჩვენის მხრივ, ვინაიდან მცირე გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ გლეხი ფულზე გაბრუებულია და თითქმის არაფერს იძლევა, მაგრამ, სამაგიეროთ, ის დიდის სიხარულით იძლევა სურსათს, რაც კი იმას მოეპოვება, თუ იმას მისცემ საჭირო იარაღს და მე მგონი, არც იმას უნდა დიდი მეცადინეობა, რომ დღეს სოფლებში დიდი ნაკლებობაა სამეურნეო იარაღების, ესე იგი, სჭირდებათ დღეს დღეობით შემდეგი სამეურნეო იარაღები: სახნისი, საკვეთი, თოხი, ბარი, ცული, ნაჯახი, წალდი, სასხლავები, ორთითი, ბარლი, ხელჩო, ურმის გორგლების რკინა, საპრიალა, ხერხი, ცული, კედური, (ჩინჯო) გუთანი და სხვა. მე მწამს, რომ ეს ისეთი ძნელი საქმე არ არის, რომლის მოგვარებაც ჩვენ არ შეგვეძლოს ვინაიდან ბევრი საუკეთესო ამხანაგი ხელოსანი, უსაქმურად და მშიერები დაიარებიან ქუჩებში, ამით მშიერებს მივცემთ ლუკმა პურს, სოფელს სამეურნეო იარაღებს და ჩვენც მივიღებთ პურს, სიმინდს, ლობიოს და სხვადასხვა, იმედია ამ საქმეს მიექცევა ჯეროვანი ყურადღება, ვისკენაც ჯერ არს, სანამ ეს კიდევ გვიან არ არის, რკინის გზის გაზეთს ვთხოვ გადაბეჭდოს ეს წერილი.

ი. მამაცაშვილი.

პროვინციაში

დ. თიანეთი. 26 იანვარს აქაც გადავიხადეთ სტუდენტების დღე. ცნობა ამ დღის შესახებ გვიან მივიღეთ. ერობის გამგეობამ 23 იანვარს საღამოს მოიწვია ადგილობრივ დაწესებულებათა და საზოგადოების წარმომადგენელნი. თავმჯდომარემ ვლ. პაპავამ დამსწრეთ აუხსნა შეკრების მიზანი. ავირჩიეთ ხუთი კაცი, რომელთაც დავავალეთ ამ დღის მოწყობა. არჩეულებმა კარგა იმუშავეს, გამართეს ყულაბებით ფულის შეგროვება, ხელის მოწერა, შემოწირულების შეგროვება, მოამზადეს წარმოდგენა. 26 იანვარს საღამოს საზოგადოება შეიკრიბა ადგილობრივ თეატრში. აქ კომისიის დავალებით სიტყვა წარმოსთქვა ვარდ. ჩხაიძემ, რომელმაც დაწვრილებით აუწერა ჩვენი სკოლისა და მეცნიერების თავგადასავალი წარსულში, ჩვენი სტუდენტების ყოფა-ცხოვრება ბრძოლებში და დღევანდელი დღის სიდიადე, რომელსაც ასრულებს დიდი ხნის სურვილი ყველა ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მეთაურთა და გველირსა ჩვენი საკუთარი მეცნიერების ტაძარი ამ ორი წლის წინეთ. სიტყვის მთქმელი დამსწრეებმა ტაშის კვრით დააჯილდოვეს. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა: ითამაშეს, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"; უკრავდა სკრიპკა და როიალი. ბოლოს გაიმართა „ამერიკული აუქციონი". ნასიამოვნები საზოგადოება შუაღამისას დაიშალა. წმინდა შემოსავალი სტუდენტებისთვის დაგროვდა თორმეტი ათას მანეთამდე (12,000)

დამსწრე.

—

ნიგოითის თემის გამგეობის საყურადღებოთ.

წარსული წლის აგვისტოში სოფ. ჰყონაგვრის მცხოვრებლებმა ითხოვეს ორ ადგილას რკინის გზაზედ მეთვრამეტე და 21 ვერსზე ყრუ გადასასვლელის გახსნა. შუამდგომლობა ასიან ამ საქმეზე და საჭირო ფულიც წარადგინეს სამმართველოში, რკინის გზის სამმართველომ ვერ დაინახა საჭიროდ 1 ვერსზე სამი გადასასვლელის არსებობა და ნება დართო მხოლოდ ერთის, ვინაიდგან ერთიც არსებობს. საჭირო იყო ადგილის და მეტ ადგილების ადგილობრივ გამორკვევა, რისთვისაც მოწვეულ იქნა კომისია სამაზრო ერობის ინჟინრის, რკინის გზის პირველ უბნის უფროსის და ნიგოითის თემის წარმომადგენლებისგან ერთად. კომისიამ საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტა მიანდო ნიგოითის ხალხოსანთა საბჭოს. ჩვენდა განსაცვიფრებლად ახალ გამგეობას არ დაუცდია საბჭოს გადაწყვეტილებისათვის და აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი მისცა. ასეთი ნაბიჯი, რომელიც იწვევს სამართლიან წყრომას ჰყონაგვრის მცხოვრებთა დიდ ნაწილში, არ შეიძლება არ ჩაითვალოს გამგეობის მხრით უფლებების გადამეტებათ. გამგეობის ერთმა წევრმა იცოდა, თუ როგორი სიფრთხილით უნდა მოეკიდებოდა აღნიშნულ კითხვის მოგვარებას, რომ აგვეცილებინა მცხოვრებთა შორის შუღლი. გამგეობამ კი საკითხის გაუცნობლად მიითვისა საბჭოს უფლება და მით გამოიწვია ისეთი უკმაყოფილება, რომელსაც მოჰყვეს შეიძლება ცუდი შედეგები. თუ გამგეობა თავის სიმაღლეზე სდგას, უნდა იცოდეს, რომ თავის მოქმედებაში ის პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე; მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი გამგეობა არას დაგიდევს. გამგეობამ უნდა იცოდეს, რომ ის მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოა საბჭოს დადგენილებებისა.

როცა მე მივუთითე გამგეობის თავმჯდომარეს გადადგმულ ნაბიჯის უსაფუძვლობაზე, მან აღმითქვა პასუხისმგებლობა. მე არ ვიცი რა გასამართლებელ საბუთს მონახავს გამგეობა, როცა ის საბჭოს უფლებებში ერევა. აბა რაღა საჭიროა საბჭო! განაგრძეთ მისი საქმეები თქვენ! მაგრამ ვაი რომ თქვენ გადადგმულ ნაბიჯს კუთხური პატრიოტიზმი ჩრდილავს და ახასიათებს. ოზურგეთის სამაზრო ერობა, დარწმუნებული ვართ, საქმეს დაუბრუნებს საბჭოს მის დასკვნის გამოსატანად, ვინაიდან ეს მისი კომპეტენციას შეადგენს და არა გამგეობისა.

საქმის მოგვარება, ჰყონაგვრის მცხოვრებთა საბჭოს წინაშე ამხედრება თქვენ მიერ ხელოვნურად მოწყობილი თქვენვე უნდა გამოასწოროთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებ, თქვენ იქნებით ორგვარი პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.

ნიგოითის ხალხოსანთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი სტეფ. ნიკოლაიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

მადლობის გამოცხადება.

უღრმეს მადლობას ვუცხადებ როგორც ჩემის, ისე საზოგადოების მხრით, შემდეგ პირებს: საქართველოს ნაციონალურ მამულის გამგეს ბ. თ. მეგრელიშვილს და ბაგრატ [illegible]-ძე ტერ-ოგანეზოვს, რომელთაც შემოსწირეს მეხრანის 2 კლ. სკოლას თითო ლამპა ღირებული 1500 მანეთად, [illegible], რომელმაც გამოუწერა თავისი ფულით სკოლას გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" და იასონ კორინთელს, რომელმაც შემოსწირა ამავე სკოლას ერთი ცული, ღირებული 300 მანეთად.

მეხრანის 2-კლასიანი სკოლის გამგე დონდოლაძე.

განცხადებანი

საჭიროა 12—14 წლის
ბიჭი—შაგირდისთვის
მიაკითხეთ გაზეთის შესახვევში ვ. რუხაძის სტამბაში ვ. ჩხიძეს.
(უფ 1—1)

ცეკვის სასწავლებელი
ი. ა. როზენბერგისა.
არსებობს 27 წელიწადი. ასწავლის სპეციალურად: აზიურს, ხაბალეტო და ევროპიულ ცეკვებს მეცადინეობა ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა № 101. (527-5-4)

ექიმი
დიმ. კოსტ. ძე ერისთავი
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ.
სასამართლოს ქუჩა № 52
(თ. 581)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
ბ. ბ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფ. 7—92.
[illegible] დაზარალებულებს აქიმობს უფასოთ. (თ. 6 6

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 67, [illegible] თეატრის ახლო.

ექიმი
პ. ბ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისის „606" და „914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშვალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების; ჰკლების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო (249)

ექიმი [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის ექიმობს „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კაპ. 60)

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) ძიბ. ქ. № 141
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით) ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები
(თ. 218)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმერლოვის ქუჩა № 11. მიხეილის ქუჩიდან პირველი შესახვევი.
(თ. 3322)

ექიმი ნ. ნ. [illegible]
[illegible] სიფილისი და სხვა [illegible] („შეშხაპუნება „606" და „914") [illegible] სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და [illegible] 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 35.